# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

სამშაბათი, 8 სექტემბერი, 2009 წელი.

№ 177 (6277)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika

ფასი 50 თეთრი.




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

## სარტყელი მივირტყ-მოვირტყი... ისმინე, ზოგვის მსურველო!..

ორი რჩევა და ერთი კონკრეტული მინიშნება საბიუჯეტო სახსრების მომჭირნედ ხარჯვის მოსურნე ჩვენი მთავრობის ჯეელ წევრებს



2

## 2 სანდრო გირგვლიანის მკვლელები გაათავისუფლეს

## ოპოზიციამ მოქმედების ახალი პარადიგმა უნდა იპოვოს, ხელისუფლებას კი გამოცდა აქვს ჩასაბარებელი 3

ალან კასაევი:



## აფხაზური და ოსური სახელმწიფოების მშენებლობა შეუძლებელია საქართველოს აზრისა და ინტერესების გაუთვალისწინებლად 3

## დაცემა გრძელდება



10



6

## წუთისოფელს კაცად შერჩე ბოლომდე!..

პოეტის გახსენება

ბევრი იარა თუ ცოტა იარა...

- პუტინმა მსოფლიოს თვალში ნდობა დაკარგა
- პუტინმა საქართველოსთან წარმოებული ომიდან არასწორი დასკვნები გააკეთა
- „ვლადიმერ პუტინი — შავბნელი აღმასვლა ხელისუფლებისკენ“

8



## როდესაც კაცისთვის 4 ცილისწამება არაფერია...

## ისმინე, ზოგვის მსურველო!..

*გეხსომებათ, მკითხველო, სულ ახალი დანიშნული იყო ნიკა გილაური მთავრობის მეთაურად, რომ განაცხადა, ქამრები უნდა შემოვიჭიროთო — საბიუჯეტო სახსრები მომჭირნედ ვხარჯოთო!*

*— შენი ჯერ არშექმნილი ოჯახი აშენდა-მეთქი, — წამოვიძახე და, ვერ ვიტყვი, რომ სიხარულის ცრემლები წამომცვივდა, მაგრამ ძალიან კი გამიხარდა (ამას მაშინვე წერილი მივუძღვენი, რომელიც ჩვენი გაზეთის წლევანდელი 12 თებერვლის ნომერში დაიბეჭდა სათაურით „პრემიერმა, ქამარი შემოიჭირეთო!“)!*

ასეთი გახარებისათვის მინიმუმ ორი მიზეზი მქონდა:

**ჯერ ერთი,** ბატონმა ნიკამ თავისი წინამორბედისგან განსხვავებით, ეს გვიშველის თუ გვიშველისო რომ თქვა და ნახევარმილიარდიანი ევროობლიგაცია დაგვადო ვალად, რომელიც რას მოხმარდა, ვერავინ გავიგეთ, **ახალი სესხის აღებაზე კი არ აიღო ორიენტაცია, არამედ მის ხელთ არსებული სახსრების მომჭირნედ ხარჯვაზე, რაც კარგია.**

რა და, სანამ პრემიერ-მინისტრად დაამწინაურებდნენ, მანამ ფინანსთა მინისტრად რომ მუშაობდა იმ ნიკა გილაურის მაშინდელმა მოადგილემ კახა ბაინდურაშვილმა,



ახლა უკვე ფინანსთა მინისტრი რომაა, თავის როგორც ყოფილ, ისე ამჟამინდელ უფროსს ნიკა გილაურს,

# სარტყელი მივირტყ-მოვირტყი...

## ორი რჩევა და ერთი კონკრეტული მინიშნება საბიუჯეტო სახსრების მომჭირნედ ხარჯვის მოსურნე ჩვენი მთავრობის ჯეელ წევრებს

**და მეორეც:** ვიფიქრე, გველირსა, არჩევნების შემდეგ ლოზუნგადღა დარჩენილი პრეზიდენტისა და, საერთოდ, ნაციონალების წინასაარჩევნო დევიზი — საქმე ლაპარაკის ნაცვლად — პრაქტიკულად ისხამს ხორცს-მეთქი.

**ისე აუხდეს ყველაფერი კარგი და სასიხარულო ჩემს მოძულესა და მაწყევარს, როგორც ეს მოლოდინი ამიხდა:** ჩვენმა მთავრობამ სახსრები დაზოგა კი არა...

სწორედ ამის გათვალისწინებით ვწერდი ახლახან („სრ“, 2.09. № 173, **„სად იყავით, სად იყავით მაშინ?!“**) მთავრობა იმდენად კი არ მუშაობს, რამდენადაც მუშაობის იმიტაციას ქმნის, ხოლო ეს რომ ვინმემ ცილისწამება-გადაჭარბებად არ ჩამითვალოს, ამაზე მალე ცალკე წერილში მოგითხრობთ-მეთქი.

მართლა ვაპირებდი ამას, მაგრამ ახლახან ტელევიზიით ისეთი რამ ვნახე, შეიძლება გადავიფიქრო კიდეც აღნიშნული წერილის დაწერა (ვინმე ჩასაფრებული ავყია და მავანთა მსგავსად ამ მთავრობის მტერი კი არ ვარ, მასზე კრიტიკული წერილების თხზვა მეხალისებოდეს).

რა ვნახე ისეთი ტელევიზიით?

რომლის მიერ დანიშვნისთანავე „გაჟღერებულმა“ დანაპირებმა, როგორც მოგახსენეთ, ჩაილურის წყალი დალია, მიბაძა და თქვა — **მომავალი წლის ბიუჯეტი სახსრების მომჭირნედ ხარჯვის გათვალისწინებით იგეგმება, ქამრები უნდა შემოვიჭიროთო...**

— უჰ, შენი გულისა, — გახარებულმა ლუარსაბივით წამოვიძახე თათქარიძის თანაკუთხელი ამჟამინდელი ფინანსთა მინისტრის ამ სიტყვების გაგონებაზე, იქნებ ახლა მაინც გვეშველოს-მეთქი და, წინასწარ, ამგვარი ბიუჯეტის პროექტის გამოქვეყნებამდეც კი, შემოვიჭირე ქამარი შარვალზე, რომელსაც ხერხემალზე მიკრული მუცელი უკვე ველარ იმაგრებდა და მძვრებოდა...

**მაგრამ ეჭვი, მოფუთფუთე, გაგახარებს დიდხანს განა?**

**ისეთ კითხვებს შემოგისევს, მტრისას მისი გამოცანა!**

მართლაცდა, ფინანსთა ახლანდელ მინისტრსაც, თავისი ყოფილი და ამჟამინდელი უფროსის მსგავსად, ვაითუ, დაავიწყდეს დანაპირები და ქამრის შემოჭერით რომ ფული დაიზოგებოდა, იმ ფულით საყიდელი ცეილონის ჩაის ნაცვლად კვლავ რომ ჩაილურის წყალი გაგვიხდეს საყლურწავი?

ფუი ეშმაკს, განვედ სატანავ! ღმერთმა დაგვიფაროს!

ეს არავითარ შემთხვევაში არ უნდა მოხდეს კვლავ მინიმუმ ორი მიზეზის გამო:

**ჯერ ერთი:** ჩემი ისედაც საკმაოზე მეტად შეჭირვებულ-მოფამფალებული პირადი ბიუჯეტი, რის გამოც მაქვს სწორედ მუცელი ხერხემალზე მიკრული, ვერ გაუძლებს მთავრობის ქამარშემოუჭერელ და, ამდენად, ლაგამამოუდებელ მადას!

**და მეორე:** ფული (ჩემს ძალიან ქესატ ჯიბეში მოჩხარუნე მონეტებს ვგულისხმობ, ცხადია) ჯანდაბას, მაგრამ ჩემი გული კი ნამდვილად ვერ გაუძლებს ამდენი ტყუილით ისედაც განულებული ავტორიტეტის მქონე ჩვენი მთავრობისადმი ამ მორიგი დანაპირების შესაძლო შეუსრულებლობით ხალხში გაჩენილ გულდამსხვრეულობის პერსპექტივას.

ამიტომ უთუოდ უნდა დავეხმარო ჩვენს მთავრობას (აკი მოგახსენეთ, მავანთაგან განსხვავებით, ვინმე ჩასაფრებული ავყია და ამ მთავრობის მტერი კი არა ვარ!) თუნდაც პრაქტიკული რჩევითა და კონკრეტული მინიშნებით, რათა მან ახლა მაინც უთუოდ შეასრულოს დანაპირები და ეს ხალხმაც იგრძნოს!

ამ მიზნით მინდა, მას შევთავაზო ორი რამ (ღმერთო დიდებულო, კვლავ ორი! რას გადამეკიდა ეს „არადამაკმაყოფილებელი“ ნიშანი, რომელიც, მართალია, განათლების ერთობ წარმატებულ რეფორმამდე (ავყია და „რედისკა“ (ცუდი) ხალხი წარუმატებლად რომ მიიჩნევს) ითვლებოდა ასეთად, მაგრამ ხომ ითვლებოდა?):

**პირველი: ქამარი (იგივე სარტყელი) რომ შემოიჭირო, იგი შემორტყმული უნდა გქონდეს** (ამას ხაზგასმით იმიტომ ვამბობ, რომ ჩვენს ტალიკ და ჯეელ მინისტრებს თუ საჯარო სამსახურის სხვა ხელმძღვანელ მუშაკებს, რომელთაც საბიუჯეტო სახსრების მომჭირნედ ხარჯვა, ანუ ქამრების (იგივე სარტყელების) შემოჭერა ევალებათ და ძალუძთ კიდეც, რაკი, საბედნიეროდ, ღიპი არა აქვთ, შესაძლოა, არც ქამრები (იგივე სარტყელები) ჰქონდეთ, ხოლო ისინი, ვინც „ტანსრული“ იყო მთავრობაში (როგორც ბოროტი ენები ამბობენ, მისი სული ახლაც იქ ტრიალებს), იგი და მისი თანამოაზრენიც ქამრის ნაცვლად, ვგონებ სულაც „პატიაჟკებს“ იყენებდნენ)!

იხ. 4 გვ.

## მებრძოლი სტრიქონი

# სიმართლე მერაბ ბერძენიშვილს

ღვთიით ჩამოსხმული სანთელი,
სანატრელ გზებზე გვინათებს,
გწამდეს, ნამდვილო ქართველო,
ხმალზე მეტად სჭრის სიმართლე.

თუმც ქართველთ შემოგარენი,
მტრისა ქარიშხლით გრიგალობს,
წინაპრის გვშვენობს გვარები,
ხმა მარიამის გვიგალობს.



სამრეკლო ჩვენივ სულისა,
რეკავს ზარებსა ღვთიურსა,
ვერ ავუსრულებთ სურვილსა,
მტერს ცას ვერ ვუთმობთ ფირუზსა.

დიახ, ვერ დავთმობთ სამოთხეს,
ქართველი ქართველს ცითა ჰგავს,
მტერი მტრის შხამში ამოთხვრეს,
ჩვენ ჩვენი ცა და მიწა გვაქვს.

მტერო, რას გვერჩი, შეეშვი
ჩემს სადგომსა და სამყოფელს,
არც ვინმე იყოს ჩვენს დღეში
შენად რადა სთვლი სხვა სოფელს.

ჩემს ილბალს მარად ცრემლიანს,
მაინც ვერავინ სჯობია,
ქართველი — ძველი მრევლია,
მტერი— ფარა და ჯოგია.

ქართველნო, სულით ამაყებს,
ვერას დაგვაკლებს მტარვალი,
ციხე შიგნიდან არ გატყდეს,
აი, რა არის მთავარი.

მართალ კაცს მიწა შესძვრია,
ჩვენ ვდგევართ და ვიკრიჭებით,
ალმაშენებელს ებრძვიან,
დალმამშენებლის ბიჭები.

მტერი არც ოდეს დაგვინდობს,
მტერსაც დავითის შიში ხრავს,
მერაბ, არ შედრკე, — რაინდო,
შენც ხომ დავითის ჯიშის ხარ.

მეცხრე ცას უხმოდ შევყვირით,
ნეტავი ვინ რას გვამადლის,
უფალო, მუხლმოდრეკილნი
შენს წინაშე ვართ მარადის.

**ჯანსულ ჩარკვიანი**

## პროტესტი

# სანდრო გირგვლიანის მკვლელები გაათავისუფლეს

**თავის დროზე სანდრო გირგვლიანის მკვლელობა ისეთი პოლიტიკური პროცესების დასაწყისად და მთავარ საბაბად იქცა, რომლებმაც ქვეყანაში კრიზისი გამოიწვია და საგრძნობლად შეარყია პრეზიდენტ სააკაშვილის მანამდე შარავანდედით მოსილი ტახტი.** ახლაც კი, როგორი პოლიტიკური აქცია, ოპოზიციის წინასაარჩევნო თუ წინასააქციო კამპანიაც არ უნდა იმართებოდეს, უდანაშაულო ახალგაზრდების და, პირველ ყოვლისა, სანდრო გირგვლიანის სადისტური მკვლელობის გამოძიება, მათი მკვლელების დასჯა ოპოზიციის მთავარ მოთხოვნად რჩება. რა თქმა უნდა, არც ახლახან გავრცელებული და დადასტურებული ინფორმაცია დარჩენილა მათი ყურადღების მიღმა: ცოტა ხნის წინათ ცნობილი გახდა, რომ სანდრო გირგვლიანის მკვლელები ფაქტობრივად გაათავისუფლეს (მონასტრებში გაუშვეს, სადაც მოიხდიან დარჩენილ სასჯელს). გუშინ პარლამენტში გია ცაგარეიშვილმა ბრიფინგი გამართა, სადაც განაცხადა, ხელისუფლებას დიდი ხანია ამაზე უარესი არაფერი მოუმოქმედებიაო.

**გია ცაგარეიშვილი, დეპუტატი:**

—სანდრო გირგვლიანის მკვლელების გათავისუფლება აღმაშფოთებელი ფაქტია. იმის ნაცვლად, რომ საქმე ბოლომდე გამოეძიებინათ და მკვლელობის შემკვეთებიც დაესაჯათ, ისინიც გაათავისუფლეს, ვინც დაპატიმრებული ჰყავდათ. წარმოუდგენელი უსამართლობაა, რომელსაც, დარწმუნებული ვარ, ქართული საზოგადოება არ შეეგუება.

გუშინვე პრესკონფერენცია გამართეს მოძრაობა „7 ნოემბრის“ წევრებმა. დაჩი ცაგურია და ირაკლი კორძაია გამოვიდნენ ინიციატივით, რომ დაიწყოს აქტიური პოლიტიკური კამპანია, რათა სანდრო გირგვლიანის მკვლელები შესაბამისად იქნან დასჯილნი. ისინი ამ ინიციატივით ყველა პოლიტიკურ პარტიასა და არასამთავრობო ორგანიზაციებს მიმართავენ. შესაბამის მოთხოვნებს გაუგზავნიან ასევე ადამიანთა უფლებების დამცველ საერთაშორისო ორგანიზაციებს.



**დაჩი ცაგურია, მოძრაობა „7 ნოემბერი“:**

—ხელისუფლებამ ის ადამიანები გაათავისუფლა, რომელთაც სულ მცირე 30-წლიანი პატიმრობა ეკუთვნოდათ. ჩვენ ამ ფაქტს უყურადღებოდ არ დავტოვებთ და ძალიან მალე აქტიურად დავიწყებთ მოქმედებას სანდრო გირგვლიანის მკვლელების დასასჯელად. საჭიროა, რომ საზოგადოებამაც გააცნობიეროს, თუ როგორი საფრთხის წინაშე ვდგავართ — ჩვენ შორის მკვლელები თავისუფლად დასეირნობენ.

როგორც მოძრაობის წევრებმა განაცხადეს, მომავალ კვირას ისინი იმ ადამიანების ფოტოებს გამოაქვეყნებენ, რომელთაც ბრალად ედებათ სანდრო გირგვლიანის მკვლელობა. ასევე გაავრცელებენ საინფორმაციო ბუკლეტებს, რათა საზოგადოებამ, მათმა მეზობლებმა, ახლობლებმა იცოდნენ, თუ ვისთან აქვთ საქმე.

ერთი კი ნამდვილად უნდა ითქვას: დღევანდელ ვითარებაში სანდრო გირგვლიანის მკვლელების გათავისუფლება საზოგადოებაში უსამართლობისა და დაუცველობის განცდას ბადებს, რაც შეიძლება ნამდვილად გახდეს ახალი, მძლავრი საპროტესტო მოძრაობის დაწყების საბაბი.

**ანა წიწილაშვილი**



**განსჯა**



**პოლიტიკურად აქტიური გაზაფხულისა და შედარებით მშვიდი ზაფხულის შემდეგ, როგორ ხვდება ხელისუფლება და ოპოზიცია შემოდგომას, რა ხდება ხელისუფლებასა და ოპოზიციაში, სავარაუდოდ, როგორ პოლიტიკურ შემოდგომას უნდა ველოდოთ, „ინტერპრესნიუსი“ პოლიტოლოგ რამაზ საყვარელიძეს ესაუბრა.**

# ოპოზიციამ მოქმედების ახალი პარადიგმა უნდა იპოვოს, ხელისუფლებას კი, გამოცდა აქვს ჩასაბარებელი

**— ბატონო რამაზ, აქტიური პოლიტიკური გაზაფხულისა და პოლიტიკური თვალსაზრისით შედარებით მშვიდი ზაფხულის შემდეგ, როგორ დაახასიათებდით ქვეყანაში არსებულ ვითარებას?**

— ორივე მხარეს, ხელისუფლებასაც და ოპოზიციასაც საშემოდგომო გამოცდა აქვთ „გამოყოლილი“ და, შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, ახლა ორივემ ეს გამოცდა უნდა ჩააბარონ. ოპოზიციამ სერიოზული „დაურტყმელი დარტყმა“ მიიღო; ხელისუფლებამ თავისი პასიურობით ოპოზიცია გამოუვალ მდგომარეობაში ჩააგდო. ხელისუფლების ინსტრუმენტი მისი პასიურობა იყო. 2007 წლიდან მოყოლებული ოპოზიცია ძველი, არაეფექტიანი სტრატეგიით ხელმძღვანელობდა. დრომ ორივე მხარეს ძველი სტრატეგიების არაეფექტიანობა დაანახა. ოპოზიციამ შემოთავაზებული თამაშის წესში, როგორღაც უნდა იპოვოს თავისი თავი, კონტრსვლა. თუ ეს კონტრსვლა ვერ იპოვა, მოსახლეობის ნდობას დაკარგავს, არა მოქალაქეობრივ ნდობას, არამედ მისი ინტელექტის მიმართ ნდობას.

ვითარების მახასიათებლად უნდა ჩაითვალოს ის, რომ ოპოზიციამ მოქმედების ახალი პარადიგმა უნდა იპოვოს, ხოლო ხელისუფლებას შექმნილ ვითარებაში თავისი გამოცდა აქვს ჩასაბარებელი. ხელისუფლების ამოცანა რაღაცით ჰგავს ოპოზიციის ამოცანას იმ მხრივ, რომ თუ გამარჯვებით გათამამებულმა ხელისუფლებამ შეცდომათა იგივე მწკრივი გაიმეორა — პოლიტიკური ნიშნით რეპრესიები, ჰიპერკონტროლი ყველა სტრუქტურაზე, მოსახლეობაში უსამართლობის განცდა და ასე შემდეგ, უკმაყოფილების ტალღა ხელახლა აგორდება. განსხვავება უკვე იქნება ის, რომ თუ მოსახლეობას ოპოზიციის მიმართ ნდობა არ ექნა, ახალი ტიპის ოპოზიციას დაუწყებს ძებნას და დიდი შანსია, ეს ოპოზიცია მოქმედებებში გაცილებით რადიკალური იყოს.

**— რა ხდება ხელისუფლებაში? ხელისუფლებამ საკადრო ცვლილებები განახორციელა, რეგიონებში მოსახლეობასთან შეხვედრები გამართა, უგულავა საარჩევნო რეჟიმში საქმიანობს. არ გამორიცხავენ, რომ მთავრობის დამტკიცებამდე სხვა მინისტრებიც გაიზიარებენ ჟვანია-სიხარულიძის ბედს. . .**

— წესით, აგვისტოს მოვლენების შემდეგ, ხელისუფლებაში გადაჯგუფება მაინც უნდა მომხდარიყო. ჩვენ დანამდვილებით არ ვიცით, ვინ რა როლს ასრულებდა როგორც აგვისტოს, ისე საპროტესტო, უკვე აპრილის მოვლენებში, მაგრამ პრეზიდენტმა ხომ იცის. ჩვენ მიახლოებით ვიცით, რომ აგვისტოს პერიოდში მხედართმთავრის ფუნქციებს ნაწილობრივ ასრულებდა გიგი უგულავა. რით დამთავრდა მისი სამხედრო კარიერა, ვნახეთ. სავარაუდოა, რომ მარცხიან, ანუ იმ ფიგურებს, რომლებმაც სააკაშვილს მარცხი მოუტანეს ამა თუ იმ მონაკვეთში, პრეზიდენტი შორ დისტანციაზე გადასწევს და ვისი მოქმედებაც მისთვის მისაღები იყო, იმას წინა პლანზე წამოსწევს. ჩემი აზრით, ამგვარი წამოწევა უკვე მოხდა თავდაცვის მინისტრის სახით.

აგვისტოს მოვლენების შემდეგ, არაბუნებრივი იქნებოდა, ხელისუფლებაში გადაჯგუფებები რომ არ მიმდინარეობდეს. ხელისუფლებამ გარკვეული კრიზისი უკვე გაიარა, კრიზისის ვითარებაში მიზანშეწონილი არ იყო დამნაშავის ძებნა, ახლა კი დროა, თავად გაარკვიონ, ვინ შექმნა პირობები კრიზისისთვის, პრეზიდენტის გუნდიდან ვინ ვერ მოახერხა გამოსავლის მოძებნა. ხელისუფლებაში საკადრო ცვლილებები და გადაჯგუფებები კრიზისის თანამდევი პროცესია.

**— რა ხდება ოპოზიციაში? რომელიმე ოპოზიციური ჯგუფი შეძლებს ხელისუფლების ალტერნატივად ჩამოყალიბებას?**

— ალტერნატივად ჩამოყალიბება შეიძლება, მაგრამ გააჩნია ვისთვის. ქალაქისა და რეგიონის ამომრჩეველი ხელისუფლების ალტერნატივად სხვადასხვა რამეს ხედავს. ხელისუფლების ალტერნატივად სხვადასხვა რამეს ხედავენ დასავლეთში და ჩვენს მეზობელ რუსეთში. ასეთ ვითარებაში ალტერნატივად ჩამოყალიბება სხვადასხვა რამეს გულისხმობს. მოსახლეობის საპროტესტო ნაწილისთვის ალტერნატივა არის ის, ვინც ჩამორთმეულ კერძო საკუთრებასა თუ ქუჩაში გაშვებული ხალხის უკან დაბრუნებას შეძლებს, იმ ვითარებას აღადგენს, რომელიც მათ აწყობთ. იმ ელექტორატისთვის, რომელიც ხელისუფლებას უჭერს მხარს, სასურველია, სააკაშვილის შეცვლის შემთხვევაში ხელისუფლებაში მოვიდეს ის, ვინც ლოიალური იქნება როგორც სააკაშვილის, ისე მისი გუნდის მიმართ.

ჯერ ვერ ვხედავ, რომ რუსეთს ასეთი ალტერნატივა სააკაშვილისნაირად აწყობდეს. ნებისმიერი ახალი ფიგურა შექმნის ახალ მუხტს, ახალი ძალა ექნება, ეს კი რუსეთისთვის დიდად სასურველი არ უნდა იყოს. რუსეთისთვის სააკაშვილი უალტერნატივოდ რჩება, ანუ მოსკოვს ნებისმიერი ახალი ფიგურა, მნიშვნელობა არ აქვს, პროდასავლური თუ პრორუსული, არ აწყობს. რუსეთში დარწმუნებული არიან, რომ სააკაშვილის მსგავსი სამაგალითო პოლიტიკოსი ქართულ პოლიტიკურ ელიტაში არ მოიძებნება. ამის შესახებ რუს პოლიტიკოსებს არაერთხელ უთქვამთ. რაც შეეხება დასავლეთს, მათთვისაც მისაღები ალტერნატივა არის ფიგურა, რომელიც დასავლეთზე იქნება ორიენტირებული, მაგრამ სტაბილურობის გარანტად გამოდგება. ოპოზიციური ჯგუფიდან სტაბილურობის გარანტორობის ნიშნით შერჩევა ცოტა ჭირს. იმის გათვალისწინებით, რომ ნებისმიერი მიტინგი არასტაბილურობის ფორმაა, შესაძლოა, დასავლეთისთვის ოპოზიციონერ ლიდერთაგან ვინმეს გამორჩევა ძნელი იყოს. დასავლეთისთვის ისეთი ზომიერი ფიგურა, როგორც ირაკლი ალასანიაა, უფრო მისაღები შეიძლება იყოს, თუმცა დასავლეთში იმედგაცრუებული არიან იმის გამო, რომ ქართული ოპოზიცია რადიკალური გახდა.

**— იმის გათვალისწინებით, რომ ქართული პოლიტიკისთვის შემოდგომა განსაკუთრებული დროა, წელს როგორი პოლიტიკური შემოდგომის მოლოდინი შეიძლება გვქონდეს?**

— გეთანხმებით, რომ შემოდგომა, სხვა რთველებთან ერთად, საქართველოში პოლიტიკური რთველის პერიოდიც არის, მაგრამ, სამწუხაროდ, დღეს პროგნოზის გაკეთება ძალიან ძნელია. სამწუხაროდ, არა მარტო ისინი ვართ ცუდ დღეში, ვისაც ამ კითხვას გვისვამთ, ცუდ დღეშია მოსახლეობაც, რომელსაც აქვს მოთხოვნილება, რომ პროგნოზირებად სამყაროში ცხოვრობდეს, არაპროგნოზირებადობა ძნელი ასატანია.

თუ ხელისუფლებამ და ოპოზიციამ შეცდომები გაიმეორეს, დიდი შანსია, რომ უკმაყოფილების ტალღა ახალ პოლიტიკურ ძალებს გააჩენს, რომელთაც ახალი პოლიტიკური სტილი და იმპულსი ექნებათ. თუ ორივემ მოახერხა შეცდომების თავიდან არიდება, ანუ ხელისუფლებამ უფრო რთული თამაში შესთავაზა საზოგადოებას და არა მარტივი — დაგიჭერ-გაგიშვებ, ოპოზიციამაც უფრო რთული და არა მარტივი — ვისაც პროტესტის გრძნობა გაქვთ, გამოდით ქუჩაში, მაშინ ალბათ გარკვეული საპროტესტო ტალღა იქნება, მაგრამ არა ინტენსიური, ექსტრემალური და დამანგრეველი. ასე რომ, თუ როგორ განვითარდება პროცესები, მხარეებზეა დამოკიდებული. თითოეული შეცდომა ჩვენი ქვეყნის არასტაბილურობის ფასი დაჯდება, თითოეული სწორი ნაბიჯი საზოგადოების მშვიდი და სტაბილური განვითარების პირობა იქნება. ვინ რა შეცდომას დაუშვებს საქართველოში, ამის პროგნოზირება გაცილებით ძნელია.

**კობა ბენდელიანი**

**პრესკონფერენცია**

## ლეიბორისტები მრიცხველის თანხის ანაზღაურებას მოითხოვენ




**გუშინ ლეიბორისტული პარტიის აღმასრულებელმა მდივანმა პაატა ჯიბლაძემ „ყაზტრანსგაზთან“ დაკავშირებით პრესკონფერენცია გამართა.**

ლეიბორისტული პარტია ხელისუფლებისა და სემეკისგან ითხოვს, რომ მოსახლეობას მრიცხველებში გადახდილი თანხა აუნაზღაურონ. პაატა ჯიბლაძის განცხადებით, მანამ, სანამ ძალაში შევიდოდა სემეკის დადგენილება, რომელიც მოსახლეობისთვის მრიცხველების უფასო დამონტაჟებას ითვალისწინებდა, ამ კომპანიებმა დიდი შანტაჟითა და დაშინებით მომხმარებელს მრიცხველში 125 ლარი გადაახდევინეს, რასაც ლეიბორისტები კატეგორიულად აპროტესტებენ. ისინი მოითხოვენ, რომ ეს თანხები მოსახლეობას უკან დაუბრუნდეს ან ბუნებრივი აირის მოხმარებაში გამოექვითოს.

ეს სამართლიანი გადაწყვეტილება იქნებაო... წინააღმდეგ შემთხვევაში, ლეიბორისტები აქციების გამართვით იმუქრებიან.

**ხატია მუსერიძე.**

**ინფორმაცია**

## ავშენებულვართ... დავითოღლუ ჩვენს ტერიტორიულ მთლიანობას მხარს უჭერს

**თურქეთი** საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასა და სუვერენიტეტს მხარს უჭერს. საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასა და სუვერენიტეტს მხარდაჭერა ღიად ამჯერად თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა აჰმედ დავითოღლუმ გამოუცხადა, რომელიც თბილისში ოფიციალური ვიზიტით იმყოფება.

როგორც მან საქართველოს საგარეო უწყების ხელმძღვანელთან გრიგოლ ვაშაძესთან გამართული შეხვედრის დასრულების შემდეგ ერთობლივ პრესკონფერენციაზე განაცხადა, თურქეთი საქართველოს ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციასაც მიესალმება.

აჰმედ დავითოღლუს განცხადებით, საქართველოში მშვიდობის გარეშე კავკასიაში მშვიდობის დამყარება წარმოუდგენელია.

„ამიტომ საქართველოში არსებული პრობლემების მოგვარება მათ შორის კონფლიქტური საკითხების გადაწყვეტა და მშვიდობის უზრუნველყოფა რეგიონისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია“, — განაცხადა დავითოღლუმ.

მისივე განმარტებით, აღნიშნული პრინციპის საფუძველზე თურქეთი მზად არის აფხაზეთის პრობლემის გადასაწყვეტად მომავალში ძალისხმევა არ დაიშუროს.

ჯი-ეიჩ-ენი

**მოსაზრება**

## ალან კასაევი: აფხაზური და ოსური სახელმწიფოების მშენებლობა შეუძლებელია საქართველოს აზრისა და ინტერესების გაუთვალისწინებლად

***ინტერვიუ „რია ნოვოსტის“ დსთ-ისა და ბალტიის ქვეყნების მთავარი რედაქციის დირექტორთან, რუსულ-ქართული საზოგადოებრივი კომისიის წევრთან, პოლიტოლოგ ალან კასაევთან.***

**— ბატონო ალან, რამდენად კმაყოფილი ბრძანდებით თქვენი ვიზიტით თბილისში და აქ გამართული შეხვედრებით?**

— ჩემს ვიზიტს ორ ნაწილად დავყოფდი. პირველი იმ გარემოებას ეხება, რომ ჩვენი დელეგაცია ცნობილი მიზეზების გამო საქართველოში სრული შემადგენლობით ვერ მოხვდა და შესაბამისად, ვერც აქ დაგეგმილ შეხვედრებში მიიღო მონაწილეობა, ვერ მოხერხდა შეხვედრების გეგმის სრულად განხორციელება. . ამავე მიზეზით გუშინდელი დღე ფსიქოლოგიურად ძალიან მძიმე იყო ჩემთვის, რადგან რუსული დელეგაციის სახელით მარტოს მიწევდა პასუხის გაცემა კითხვებზე. მიუხედავად ყველაფრისა, შეხვედრები ძალიან საინტერესო იყო და აჩვენა, რომ ჩვენს ქართველ კოლეგებს — ჟურნალისტებს, პოლიტოლოგებს, ექსპერტთა ჯგუფის წარმომადგენლებს აქვთ საკუთარი, საკმაოდ საინტერესო მოსაზრებები, რომელიც ჩვენ — რუსმა ჟურნალისტებმა და პოლიტოლოგებმა, რა თქმა უნდა, უნდა ვიცოდეთ და გავითვალისწინოთ, რამდენადაც ეს მოსაზრებები ძალიან მნიშვნელოვანია. მინდა, მადლობა გადავუხადო თითოეულ ადამიანს, რომელიც ამ შეხვედრებში მონაწილეობდა. ყველა იყო ძალიან მომზადებული და დაინტერესებული იმით, რომ ჩვენი კონტაქტები მომავალშიც გაგრძელდეს.

**— თქვენ აცხადებთ, რომ რუსეთსა და საქართველოს შორის ურთიერთობების აღდგენით ყველა არის დაინტერესებული, რადგან სადღეისოდ, შეიძლება, ითქვას, არანაირი კავშირი და ურთიერთობები ორ სახელმწიფოს შორის არ არსებობს. ალბათ, ურთიერთობების ნორმალიზებისთვის მხარეებს გარკვეულ დათმობებზე მოუწევთ წასვლა. როგორ ფიქრობთ, რა დათმობებზე შეიძლება, წავიდეს რუსეთი და რა უნდა დათმოს საქართველომ?**

— საქართველოს პოზიცია იმაში გამოიხატება, რომ ჩვენ უნდა აღვადგინოთ ურთიერთობები, თუ რუსეთი აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარების გადაწყვეტილებას გააუქმებს.

იხ. 5 გვ.

## ისმინე, ზოგვის მსურველო!..

(მეორე გვერდიდან)

**და მეორე: მათ ქმრის (იგივე სარტყლის), რომელიც, ჩემი პირველი შეთავაზების შესრულების შემთხვევაში, უკვე ექნებათ, შემოჭერა რომ არ დაავიწყდეთ** და კახა ბაინდურაშვილის დანაპირებიც, მისი ყოფილი და ამჟამინდელი უფროსის დანაპირების მსგავსად, შეუსრულებელი არ დარჩეს, **ხმამაღლა თუ არა, გულში მაინც ხშირად უნდა გაიმეორონ:**

**ქმარი** (იგივე სარტყელი) **მივირტყ-მოვირტყი, მორტყმული დავიარები,** (ანუ შემოსაჭერი მაქვსო)!

თუმცა, „ცისფერი მთებისა" არ იყოს, ეს ორი სათაური (ამ შემთხვევაში, ორი სახელწოდება) მართლაც რა საჭიროა?

ამიტომ, საბიუჯეტო სახსრების მომჭირნედ ხარჯვისთვის გულანთებულ-მზადმყოფო პატივცემულო ჯელო მთავრობის წევრებო, სჯობს ასე თქვათ:

**სარტყელი მივირტყ-მოვირტყი, მორტყმული დავიარები!**

თანაც ეს, როგორც გითხარით, ხშირად უნდა გაიმეოროთ (თუ ხმამაღლა არა, გულში მაინც)!

**ოღონდ ძალიან სწრაფად ნუ გააკეთებთ ამას, თორემ ეშმაკს არ სძინავს და, გურულებისა არ იყოს, მარცხიც ელანძეა!**

თუმცა, ვგრძნობ, ახლა კი დროა, სოლომონ რომა...

ანუ როგორც პოეტმა ათქმევინა „პატარა კახს", „რა დროს ლექსიაო, მოუკვდეს პატრონი"... მართლაც, რა დროს უკბილო ხუმრობა თუ შაყირია! დროა საქმეზე, ანუ ქვესათაურში ნახსენებ კონკრეტულ შეგონებაზე გადავიდე!

მაგრამ ახალი ველოსიპედის გამოგონების მცდელობასავით რომ არ გამომივიდეს, თქვენი ნებართვით, ბატონო ნიკა, და მკითხველთან ბოდიშის მოხდით, ჩემი ზემოთ ნახსენები 12 თებერვლის პუბლიკაციიდან მინდა მოვიყვანო ერთი ვრცელი ამონარიდი:

# სარტყელი მივირტყ-მოვირტყში...



**„ქმრის მოჭერა რატომ არ გულისხმობს მაღალჩინოსანთა არცთუ ისე მცირე ხელფასების** (მოსახლეობის უდიდესი ნაწილის უკიდურესად შეჭირვებული ყოფის კვალობაზე, ცხადია) **შემცირებას, ბატონო ნიკა?**

ამით ხომ განუზომლად დიდი თანხები დაიზოგებოდა?

ასე რომ არ იყოს, **განა ამერიკის ახალი პრეზიდენტი გაუყინავდა იქაურ მოხელეებს წელიწადში 100 ათას დოლარ გადაჭარბებულ შემოსავალს?**

ან თუნდაც ჩვენი ხელისუფლებისთვის სამაგალითო ბალტიისპირეთის სახელმწიფოებს მივბაძოთ: **ლატვიის პრემიერ-მინისტრმა გადაწყვიტა, რომ ხელფასი 15 პროცენტით შეიმციროს და შესაბამისი განცხადებით უკვე მიმართა სახელმწიფო კანცელარიას.**

დაგითვლიათ, ბატონო ნიკა, ან თქვენ, ბატონო კახა, ვინც შეცვალეთ ამჟამინდელი პრემიერი ქვეყნის პირველი ფინანსისტის პოსტზე, ანალოგიური გადაწყვეტილების მიღება დამატებით რამდენ მილიონ ლარს დაუზოგავდა ბიუჯეტს?

**ან, თუ ხელფასებს ვერაფრით შეელევით, იქნებ პრემიებსა და დახმარებებს მაინც შეეშვათ ჯერხანობით?**

მერწმუნეთ, ეს უზარმაზარი რეზერვია!

არ გჯერათ? მაშინ მეც დაკონკრეტებაზე გადავალ, როგორც ამას ზოგიერთი გალიზიანებული ოპონენტი მოითხოვდა ჩემგან:

გაზეთ „ასავალ-დასავლის" ბოლო ნომერში გამოქვეყნებულ მაღალჩინოსანთა დეკლარაციებში ნათქვამია, რომ **ფინანსთა ამჟამინდელ მინისტრს კახა ბაინდურაშვილს ხელფასის სახით მიღებული აქვს 24.216, ხოლო პრემიის სახით — 27.380 ლარი.**

**პრემია გამიგია, მაგრამ ხელფასზე მეტი, კაცო?**

ახლა დახმარებების თაობაზე ც არ მათქმევინოთ რამე, განსაკუთრებით ისეთებზე, მაშინდელმა იუსტიციის მინისტრმა ქალბატონმა ეკა ტყეშელაშვილმა რომ გამოუწერა თავის თავს შვილის შეძენასთან დაკავშირებით (ღმერთმა გაუზარდოს!) — **არც მეტი, არც ნაკლები — 15 ათასი ლარი(!).**

**ჰოდა, იქნებ ასეთ თანხებზე მაინც ათქმევინოთ უარი მაღალჩინოსნებს, ბატონო ნიკა, და „მარტო" ხელფასებზე დასვათ, თუ ამ დანიშნულ სარგოს ვერაფრით ვერ შეუმცირებთ?**

ეს თქვენს ინიციატივა-მოწოდებასთან შედარებით ბევრად ეფექტურ-ეფექტიანი და განუზომლად მეტი სარგებლის მომტანი ღონისძიება რომ არ იყოს, ბარაკ ობამა ზემოაღნიშნულს არ იზამდა!

არც თქვენი ლატვიელი კოლეგა, სხვათა შორის!!

**სხვაგვარად თქვენი მოსაწონი წამოწყება, ზღაპრული ნახევარქათამასი არ იყოს, ნახევარღონისძიება იქნება და სასურველ შედეგამდე ვერ მიიყვანს, ბატონო ნიკა, თქვენს მთავრობას, რომლის წარმატება, მერწმუნეთ, გულით გამიხარდება.**

და ბოლოს, მცირე განმარტება ამ წერილის ქვესათაურთან დაკავშირებით:

ინტერნეტში ერთ ანეკდოტს წავაწყდი: **მთავრობის საუკეთესო ანტიკრიზისული პროგრამა მისი გადადგომაა.**

**ნამდვილად არ მინდა, რომ ეს საქართველოს ამჟამინდელ მთავრობაზე გავრცელდეს.**

***არის ამაში რაიმე გაუგებარი და, მით უფრო, მიუღებელი, ბატონო კახა?***

***გულწრფელად გეუბნებით, ნაღდად არ მინდა, რომ თქვენი დანაპირებიც შეუსრულებელი დარჩეს.***

***ხოლო თუ, ღმერთმა ნუ ქნას და, იფიქრეთ, რა აუცილებელია დანაპირების შესრულება, ვინ რას დაგვაკლებს, ოპოზიცია ხომ „დავაჩმორეთო", გეტყვით, რომ ცდებით, ბატონო კახა, თქვენც და თქვენი კოლეგებიც თუ უფროსობაც — ხალხის დამმარცხებელი მთავრობა ჯერ არსად არ არსებულა!***

**რუსლან რუსია.**

## პოლემიკა

**მერაბ ჯიბლაძე სრულიად მართებულად შეწუხებულია იმით, რომ საქართველოში დღეისთვის უმაღლესი სასწავლებლები ფაქტობრივად ფასიანია. რამდენადაც მისი გულისწყრომა სამართლიანია, იმდენად აბსოლუტურად გაუგებარია, რატომ ადანაშაულებს იგი მომხდარში უზენაეს საბჭოს?!**

ქვეყნის თავისუფალ საბაზრო ურთიერთობაზე გადასვლის პირობებში საზოგადოებაში სრულიად ბუნებრივად დაიბადა მოთხოვნა, შექმნილიყო ფასიანი სასწავლებლები.

ამ მიზნით, სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლების მესვეურებმა 1990 წელს მიიღეს გადაწყვეტილება, უფასო სწავლების პარალელურად შემოეღოთ ფასიანი სწავლება, რასაც ჩვენ შევეწინააღმდეგეთ და 1991 წლის 14 ივნისს დამტკიცებული ფასიანი სასწავლებლების დებულების თანახმად ავკრძალეთ სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ სასწავლებლებში ფასიანი სწავლება.

საკანონმდებლო ორგანოს ასეთმა გადაწყვეტილებამ იმდენად გაანაწყენა გარკვეული პირები, რომ მას შემდგომ, რაც ჩემთან ვერაფერი გააწყვეს, პრეზიდენტის შეცდომაში შეყვანაც კი განიზრახეს.

მოკლედ რომ ვთქვათ, ფასიანი სასწავლებლების შექმნა თავისუფალი საბაზრო ურთიერთობების პირობებში სრულიად ბუნებრივი მოვლენა იყო და ჩვენ ვცდილობდით, ყოველივე პროგრესული მიმართულებით განვითარებულიყო.

თუმცა მას მერე, რაც რუსეთის მეხუთე კოლონამ ხელისუფლებას ჩამოგვაშორა, დაუყოვნებლივ იქნა მიღებული გადაწყვეტილება, სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებში უფასო სწავლების პარალელურად ფასიანი სწავლების შემოღების თაობაზე, რაც დანაშაული იყო, რადგან ნათელი გახლდათ, რომ უმაღლესი სასწავლებლის ფასიანი სექტორი თანდათანობით გააუქმებდა სასწავლებელში არსებულ უფასო სწავლებას. ნუთუ ამ ყოვლად გაუმართლებელ ავანტიურას განათლების სამინისტროში მოღვაწე მინისტრის იმჟამინდელი მოადგილე უმაღლესი განათლების დარგში — მერაბ ჯიბლაძე არ უნდა დაპირისპირებოდა?

საქმე ისაა, რომ ამ მზაკვრულ ხაფანგს თავის დროზე მერაბ ჯიბლაძემ ალღო ვერ აუღო და ახლა უზენაეს საბჭოს ადანაშაულებს უფასო უმაღლესი სასწავლებლების გაუქმებაში.

პირდაპირ გასაოცარია, როდესაც ოპონენტის უმართებულო ბრალდებას გამოვეპასუხე, მერაბ ჯიბლაძე საპასუხო წერილში (გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა", 2009 წლის 4 ივნისი) მის მიერ სადავოდ წარმოჩენილი საკითხის არსს კი არ ეხება, არამედ იმ ღიმილისმომგვრელი თვითრწმენის გამო, რომ ყველაზე ჭკვიანი ყოველთვის თვითონ უნდა იყოს, ჩვენს წერილში წარმოჩენილი პოზიციის გაბიაბრუების მიზნით, სათქმელს ხლართავს და გაკვირვებული შეგვნიშნავს: „... თურმე საბჭოთა პერიოდში „უფასო" განათლება ქართული არ ყოფილა. ალბათ სკკპ ისტორიას და მარქსიზმს რომ სწავლიდნენ, იმიტომ, მაგრამ ვინ სწავლობდა ამ საგნებს პარტიული კარიერის მოსურნე ზოგიერთი ისტორიკოსისა და ფილოსოფოსის გარდა...". სრულიად გაუგებარია რისი თქმა სურს განათლების მინისტრის ყოფილ მოადგილეს, ვინაიდან თუკი რომელიმე საგანში სტუდენტებს ქართულ ენაზე სახელმძღვანელო გააჩნდათ, ეს, სწორედაც რომ, კომუნისტების იდეოლოგიური მოსაზრებებიდან გამომდინარე, სკკპ ისტორიის სახელმძღვანელო იყო. ნათელია, ნათქვამი სრულიად უპასუხისმგებლოდაა თქმული და, ამდენად, სრული ნონსენსია.

# როდესაც კაცისთვის ცილისწამება არაფერია...

მერაბ ჯიბლაძის წერილის პასუხად

მეორე ნონსესი კი საბჭოთა პერიოდში ქართული განათლების არსებობაა.

„... ქართულ სკოლაში არ სწავლობდიო..." მსაყვედურობს განათლების საკითხებზე მოფიქრალი მერაბ ჯიბლაძე. დიახ, ჩემს მშობლიურ ქართულ ენაზე ვსწავლობდი, მაგრამ, გვასწავლიდნენ რუსეთში შექმნილი სახელმძღვანელოებით, რომლებიც ქართულად იყო ნათარგმნი. ნუთუ ასეთი სახელმძღვანელოები ქართულ სახელმძღვანელოებად შეიძლება ჩაითვალოს? განა სადავოა, რომ საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების ქართული სექტორის სტუდენტებს გარკვეული საგნები ეროვნული სახელმძღვანელოების არარსებობის გამო, პედაგოგების მოთხოვნით, რუსული სახელმძღვანელოებით უნდა მოემზადებინათ? რაღა ბევრი გავაგრძელო, ყველას აქვს უფლება, ცდებოდეს, მაგრამ, ასეთნაირად? ქართველი ერის განათლების საკითხებს კურირებდე და ქართულს უცხოსგან ვერ ასხვავებდე?

ანდა რა გასაკვირია: იმ პერიოდში, როდესაც სამხედრო გადატრიალებას — დემოკრატიულ რევოლუციას უწოდებენ; კოლაბორაციონისტებს — სეპარატისტებს; რომელი ერთი ჩამოვთვალო და ერთია კიდევ: თვითონ მერაბ ჯიბლაძეც ხომ ვახტანგ გოგუაძეს, რომელიც რუსეთის მეხუთე კოლონის მეხოტბე იყო, საქართველოს დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვის შეფერხების მიზნით განხორციელებულ ქვეყნის წინასწარგამიზნულ კრიმინიზაციას ვერ ხედავდა და საქართველო დსთ-ში გააწევრა, დიდ მამულიშვილად მოიხსენიებს, ასეა, ბატონებო, როცა ზნეობრივი შიზოფრენია დაემართება კაცს, ცხადია, გაუჭირდება რუსულისა და ქართულის გარჩევა.

აშკარაა, მხოლოდ ზნეობრივი შიზოფრენიით დაავადებულმა შეიძლება მისცეს თავს უფლება, ქვეყნის თავისუფალ საბაზრო ურთიერთობაზე გადასვლისას, სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლების პარალელურად, ფასიანი უმაღლესი სასწავლებლის გახსნის გამო, სადაც მხოლოდ ნებაყოფლობით, საკუთარი სურვილის შემთხვევაში, შეიძლებოდა ესწავლა ახალგაზრდას, ისაუბროს „ჩოლოყაშვილისტების" მიერ ფასიანი სასწავლებლის საშუალებით ხალხის გატყავებაზე. ეშმაკობს მერაბ ჯიბლაძე, ჩემი გვარის ბრჭყალებში მოთავსებით ვითომდა აბუნდოვანებს სათქმელს. მართლაც რომ, სასაცილოა ჩემს მიერ ხალხის გაყვლეფაზე ტლიკინი. მით უმეტეს ჩოლოყაშვილთა საგვარეულოს მიმართ ასეთი შეურაცხმყოფელი გამოხდომა, მაშინ, როდესაც მთელმა საქართველომ კარგად უწყის, თუ რა დიდი თავდადებით ემსახურებოდნენ ჩოლოყაშვილები ქართველ ხალხს.

როგორც ხედავთ, ცილისწამება მისთვის არაფერი არ ყოფილა. ის იტყვის, სხვამ კი თავი უნდა იმართლოს.

მერაბ ჯიბლაძე განაგრძობს ბრჭყალებით მანიპულირებას და მეკითხება, როგორ მოახერხეო „ცოდნის მიღება", რასაც ახლა ვიტყვი, მისთვის ძნელი გასაგები იქნება, მაგრამ მაინც ვიტყვი: **ისე არ წავხდები, რომ ადამიანი დავამცირო ან მის ღირსებას შევეხო: მკითხველმა კი მინდა იცოდეს, რომ შეკითხვას მხოლოდ იმიტომ არ ვპასუხობ, რომ აღზრდა არ მაძლევს ამის უფლებას.**

კვლავ განაგრძობს ყალთაბანდობას, და წუწუნებს: „... „ჩოლოყაშვილებს" ვერ შევაგნებინეო..." მკითხველი ალბათ მიხვდა, ასე იმიტომ წერს, რომ პირადად ჩემთან ფასიანი სწავლების თაობაზე არასოდეს არანაირი კრიტიკული შენიშვნა არ გამოუთქვამს და ახლა ჟონგლიორობს — ამიტომაც პირადად მე ვერ მასახელებს, თუმც ცდილობს, საზოგადოებას ჩემი თავი შეუგნებელ კაცად წარუდგინოს.

სხვა ადგილას კი, ქართველი ფიზიკოსი, რომელიც სამშობლოში თანამემამულეებს „ამერიკის ფიზიკური საზოგადოების წევრად" აცნობს თავს (Sic), ისევ იმ სულელური პოზიციიდან, რომ ყველაზე ჭკვიანი ყოველთვის თვითონ უნდა იყოს, ახალ ეშმაკობას მიმართავს და ასე წერს: „... ჩოლოყაშვილის მსგავსი დეპუტატების ნაწილი..." მაწუხებდაო. ხედავ მკითხველო, პირადად მე არ შემიწუხებია, მაგრამ, რამდენადაც ჩემს დასამცირებლად იღვწის, უნდა ვივარაუდოთ, რომ დეპუტატთა იმ ნაწილს მიმაკუთვნებს, რომელნიც თვითონ მას გულზე არ ეხატებოდა. წვალობს კაცი, რათა რაღაც ისეთი თქვას, რომ ბუნდოვანებით დააეჭვოს საზოგადოება. ნუთუ, არ გაუგონია, რომ ეშმაკობა ბრიყვთა მახვილგონიერებაა და მეტი არაფერი.

არადა, მერაბ ჯიბლაძის კომპეტენტურობაში შეუძლებელია ეჭვი არ შეგეპაროთ, რადგან მაშინ, როდესაც საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდგომ ქართული განათლების სისტემის გარდაქმნა არ განხორციელებულა, განათლების საკითხებზე მსჯელობისას ასე გვმოძღვრავს „... რეფორმები აუცილებელია, ოღონდ არსის ცვლილების გარეშე..." (გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა", 2008 წლის 1 ივლისი). თუკი ჩვენი ეროვნული იდეისათვის უცხო, კოლონიური განათლების სისტემის არსი არ შევცვალეთ, რისთვისღა გვინდა დამოკიდებლობა? დიახ, იმისათვის, რომ შევინარჩუნოთ ჩვენი მეობა და ავაღორძინოთ ჩვენი სამშობლო, მოვალეობის გრძნობით განმსჭვალული ახალგაზრდობა უნდა აღვზარდოთ და არა კარიერისტები, რომლებიც თვითნებობით ამაყობენ, რის განსახორციელებლადაც, სწორედაც რომ განათლების კონცეფციის არსია შესაცვლელი.

უდავოა, განათლების მინისტრის ყოფილი მოადგილე უმაღლესი განათლების დარგში საპასუხო წერილით აუცილებლად დაგვესხმის თავს. ალბათ, ბევრად უფრო ცილისმწამებლური იქნება მისი ჩივილი. ამიტომაც, წინასწარ ვაცხადებ, პირადად ჩემთვის იმდენად შეურაცხმყოფელია მასთან პოლემიკის გამართვა, რომ როგორც არ უნდა დამწამოს ცილი, ჩემი პასუხის ღირსად არ მიმაჩნია.

**ბიძინა ჩოლოყაშვილი,**
**საქართველოს დამოუკიდებლობის განმცხადებელი დეპუტატი,**
**პარიზი. 2009 წ. სექტემბერი.**

◉ მოსაზრება

# ალან კასაევი: აფხაზური და ოსური სახელმწიფოების მშენებლობა შეუძლებელია საქართველოს აზრისა და ინტერესების გაუთვალისწინებლად



(მესამე გვერდიდან)

რუსული მხარის პოზიცია კი დაახლოებით ასეთია: მოლაპარაკებები შეიძლება, თუ საქართველოს ამჟამინდელი ხელისუფლება შეიცვლება.

ერთიც და მეორეც უბრალოდ არარეალურია. ხელისუფლების შესაცვლელად საჭიროა არჩევნების ჩატარება, საქართველოში კი, რამდენადაც მე ვიცი, უახლოეს მომავალში არჩევნების ჩატარება არ იგეგმება. ოპოზიციამ ამ მხრივ თავისი რეალური შესაძლებლობა ვერ აჩვენა, ყოველ შემთხვევაში, ჯერჯეროებით. ამასთან, თავად ქართული ოპოზიციაც რუსეთისგან აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის აღიარების უარყოფას ერთმნიშვნელოვნად ითხოვს. ვფიქრობ, რომ რუსეთის მხრიდან ამის გაკეთება შეუძლებელია: რუსეთი ერთი წლის წინათ გადადგმულ ნაბიჯს უკან ვერ წაიღებს და რუსეთის ხელისუფლებისთვის საკითხი ასე არ დგას. გუშინ ოფიციალური შეხვედრების შემდეგ სერიოზულ ქართველ პოლიტიკოსებთან არაოფიციალური შეხვედრებიც გაიმართა და იქაც ქართული მხრიდან გამოითქვა მოსაზრება, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენამდე რუსეთთან სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების აღდგენა შეუძლებელია. თუმცა ჩემთვის ძალიან სასიამოვნო იყო ამ ადამიანებისგან იმის მოსმენა, რომ დღეს ყველაზე მთავარი ამოცანაა, ხალხებმა ერთმანეთის მოსმენის უნარი და პატივისცემა არ დაკარგონ. ჩვენი კომისიის მთავარი ამოცანაც ეს არის. რაც შეეხება პოლიტიკას, პოლიტიკოსები საკუთარ საქმეს აკეთებენ, ჟურნალისტებმა კი თავისი უნდა აკეთონ.

**— საუბარში ახსენეთ, რომ „სერიოზულ ქართველ პოლიტიკოსებს„ არაოფიციალურად შეხვდით. კერძოდ ვისთან გქონდათ შეხვედრები და იყვნენ თუ არა მათ შორის სახელისუფლებო წრეების წარმომადგენლები?**

— როგორც უკვე ვთქვი, ეს შეხვედრები არაოფიციალურ ფორმატში გაიმართა, ამდენად ამ პოლიტიკოსების ვინაობას ვერ დაგისახელებთ.

**— თქვენ აცხადებთ, რომ რუსეთი აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის აღიარების გადაწყვეტილებას ვერ შეცვლის, ეს კი ქართული მხარის უმთავრესი და უცვლელი მოთხოვნაა. აქედან გამომდინარე, რამდენად პერსპექტიულად მიგაჩნიათ საერთოდ ურთიერთობების გამოსწორება?**

— დიახ, მე მეჩვენება, რომ რუსეთი აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთთან მიმართებაში საკუთარ პოზიციას არ შეცვლის. თუმცა მე სახელმწიფო სათათბიროს წევრი არ ვარ, ვარ ჟურნალისტი და რუსეთის ხელისუფლების ასეთი პოზიციის ფონზე მით უფრო მნიშვნელოვნად მეჩვენება ურთიერთობების დამყარება სხვადასხვა მიმართულებით. სულ მცირე, რაც შეგვიძლია, რუსულ მედიაში ქართული მოსაზრებები დავბეჭდოთ და ასევე მოიქცეს ქართული მედია. რისი გაკეთებაც შეგვიძლია, უნდა გავაკეთოთ. კარგი იქნებოდა, ტელეკომპანიებსაც დაეთმოთ ეკრანები ერთმანეთის წარმომადგენლებისთვის, თუმცა ეს რთული იქნებოდა, თუ გავითვალისწინებთ, რომ როგორც რუსეთში, ისე საქართველოში ტელევიზია მედიის მაინცდამაინც ობიექტური სეგმენტი არ არის. ყველაფრის მიუხედავად, ურთიერთობები აუცილებლად უნდა გაგრძელდეს.

**— როგორია თქვენი შეფასება გასული წლის აგვისტოს ომთან დაკავშირებით, რომლის შემდეგ რუსეთმა ცალმხრივად აღიარა აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა. რამდენად სწორი გადაწყვეტილება იქნა მიღებული?**

— აგვისტოს ომი სააკაშვილის დიდი შეცდომაა და მისი ამ შეცდომის შემდეგ მე ვერ ვხედავ, სხვა რა შესაძლებლობა რჩებოდა რუსეთს, თუ არა ამ კონფლიქტში ჩარევა. ფაქტობრივად, ერთ დღე-ღამეში ოსური მხრიდან დაახლოებით 150 ადამიანი დაიღუპა. რუსეთი რომ არ ჩარეულიყო, ვფიქრობ, გაცილებით მეტი დაიღუპებოდა. სამწუხაროდ, სწორედ ეს არის 2006 წლიდან დაწყებული და 2008 წლით დამთავრებული მოვლენების განვითარების ლოგიკა. გუშინ ბატონმა ვოლსკიმ (კონფლიქტების დარეგულირების საკითხებში სახელმწიფო მინისტრის ყოფილი მოადგილემ) განაცხადა, რომ 2006 წლამდე მოლაპარაკებების პროცესი ნორმალურად მიმდინარეობდა, ბევრი საკითხი გადაწყდა — ჰუმანიტარული და სხვა, 2006 წელს კი ყველაფერი რადიკალურად შეიცვალა, ვექტორი შეიცვალა და თბილისში ვიღაცამ გადაწყვიტა, რომ ეს კონფლიქტი ძალისმიერი მეთოდით უნდა გადაწყვეტილიყო, თუმცა აღმოჩნდა, რომ ეს არ იყო სწორი გადაწყვეტილება. საერთოდ, პოლიტიკაში შეცდომა ძალიან ძვირი ჯდება. რაც შეეხება იმ საკითხს, თუ რამდენად სწორი იყო რუსეთის შემდგომი ნაბიჯი — აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარება, მე, როგორც რუსეთის მოქალაქე და ეროვნებით ოსი, არ შემიძლია, ამ გადაწყვეტილებას არ დავეთანხმო. რუსეთმა ყველაფერი სწორად გააკეთა, მომავალში რა იქნება — სხვა საქმეა, დრო გვიჩვენებს. მსოფლიოში ასეთი ჩიხური სიტუაციები მრავლად არის: 1985 წელს, როდესაც გორბაჩოვი მოვიდა ხელისუფლებაში, არავის ეგონა, რომ გერმანია გაერთიანდებოდა... მსოფლიოში გეოპოლიტიკური ცვლილებები ყოველწლიურად ხდება. ასე, რომ, მე დარწმუნებული არაფერში ვარ, ვნახოთ...

**— როგორ ფიქრობთ, რეალურად თუ მოიპოვა დამოუკიდებლობა ოსმა და აფხაზმა ხალხმა რუსეთის მიერ აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარების შემდეგ?**

— სამხრეთ ოსეთიც და აფხაზეთიც 1990-იანი წლებიდან დე ფაქტო დამოუკიდებლები იყვნენ, გასული წლის 26 აგვისტოდან კი ადამიანებს უბრალოდ უფრო მეტად დაცულობის გრძნობა გაუჩნდათ, ვინაიდან დამოუკიდებლობა — ერთია და სახელმწიფოებრივი უსაფრთხოება — მეორე. ამასთან, მინდა, გითხრათ, რომ ოსებსა და აფხაზებს სწყინთ, როცა ამბობენ, რომ ეს არა მათი დამოუკიდებლობის, არამედ რუსეთის მიერ მათი დამოუკიდებლობის აღიარების დღეა. თუ იმას მკითხვათ, არიან თუ არა აფხაზეთი და ე.წ. სამხრეთ ოსეთი სახელმწიფოები, რა თქმა უნდა, გიპასუხებთ, რომ არა: სახელმწიფოს შექმნა და მშენებლობა ხანგრძლივი პროცესია. აქვე იმასაც გეტყვით, რომ ზოგადად აფხაზეთისა და ოსეთის სახელმწიფოების მშენებლობა შეუძლებელია საქართველოს აზრისა და ინტერესების გაუთვალისწინებლად, ვინაიდან როგორი სახელმწიფოები იქნებიან ისინი, — ამას არა მარტო იქ მცხოვრები მოსახლეობა, არამედ მეზობლებიც განსაზღვრავენ.

**— რუსული მედია ძალიან ხშირად აკეთებს აქცენტს იმაზე, რომ ქართველებს, ოსებს და აფხაზებს ერთმანეთი სძულთ და მტრულად არიან განწყობილი. თქვენ თუ ეთანხმებით ამ აზრს?**

— მე ქართველების, რუსების, აფხაზებისა და ოსების მხრიდან ერთმანეთის მიმართ სასტიკი მომენტები მინახავს, მაგრამ არა ხალხის სიძულვილი. მე ვიცი, რომ ჩემს მშობლიურ ოს ხალხში საქართველოსთან მიმართებაში სიძულვილი არ არსებობს. თბილისშიც ხშირად ჩამოვდივარ და სიძულვილს ვერც აქ ვხედავ. სიძულვილი, რა თქმა უნდა, არ არის, ხოლო იმას, რაც ხდება, პოლიტიკოსები აკეთებენ საკუთარი ვიწრო პოლიტიკური ინტერესების განსახორციელებლად საზოგადოებრივი აზრის უგულებელყოფით.

**— როგორ შეაფასებთ ჩრდილოეთ კავკასიაში მიმდინარე პროცესებს? ხომ არ ფიქრობთ, რომ რუსეთის მიერ აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის აღიარებამ ამ რეგიონში სიტუაციის დაძაბვას და იმ ადამიანების გააქტიურებას მისცა დამატებითი სტიმული, რომლებსაც რუსეთისგან დამოუკიდებლად ცხოვრება სურთ?**

— მე ვერ ვხედავ ჩრდილოეთ კავკასიაში ძალებს, რომლებსაც დღეს რუსეთისგან გამოყოფა შეუძლიათ. ასეთი ძალები ჩეჩნეთში ერთ დროს იყო, მაგრამ დაახლოებით 2003-2004 წლებში ეს პოტენციალი ამოიწურა. ამჟამად სეპარატისტულ პოტენციალს არც ის წარმოადგენს, რასაც დაღესტანსა და ინგუშეთში ვხედავთ, სადაც მხოლოდ ადგილ-ადგილ ხორციელდება აფეთქებები და თავდასხმები მილიციის მუშაკებზე. გუშინ ჩვენ ჩრდილოეთ ოსეთში მომხდარი ტრაგედიის 5 წლისთავი აღვნიშნეთ, ვგულისხმობ იმ სამწუხარო მოვლენებს, რომელთა შედეგად 330 ადამიანი, მათ შორის 180 ბავშვი დაიღუპა. მაგრამ ეს მხოლოდ და მხოლოდ ეპიზოდებია, რამდენადაც რუსეთიდან გასვლის პოლიტიკური ნება და ძალა ჩრდილოეთ კავკასიაში ამ ეტაპზე არ არის, ხოლო მომავალში რა იქნება, ნამდვილად არ ვიცი... ის, რაც იქ ამჟამად ხდება, კლანებს შორის გავლენის სფეროების გადანაწილებისთვის ბრძოლაა. რა თქმა უნდა, საერთო ჯამში, ეს არ არის სეპარატიზმი. სერიოზულად მოაზროვნე ადამიანს აზრად არ მოუვა, ჩრდილოეთ კავკასიაში შექმნას სახელმწიფო, რადგან ის ნებისმიერ შემთხვევაში რუსეთის შიგნით იქნება.

**— და ბოლოს, რას ეტყოდით ქართველ ხალხს?**

— ქართველ ხალხს შემიძლია, ვუთხრა, რომ საქართველოში ძალიან ბევრი მეგობარი, კოლეგა და პარტნიორი მყავს, რომლებთან ერთადაც მრავალი წელია, ვმუშაობ. დღეს ჩვენ ერთობლივი ლონისძიებები გვაქვს და ასეც იქნება მომავალში, თუ ხელს არ შეგვიშლიან. ვიმედოვნებ, რომ არ შეგვიშლიან, რადგან ყველა კარის ჩაკეტვა არც ხელისუფლების ინტერესებში შედის. უახლოეს მომავალში ჩვენ ქართველ ჟურნალისტებს რუსეთში ვიწვევთ და შემდეგ ერთობლივი პროექტების განხორციელებასაც შევძლებთ.

**ლევან ჭითანავა.**
**საინფორმაციო სააგენტო „პირველი“**

◉ თვალსასეირონი

# მართლაც, თვალი კი ჭამს და სვამს, მაგრამ ესლა გვეყოფა?

## „ხალხოსანი“ მინისტრები პიარის კვარცხლბეკზე...

**ამ ბოლოს დროს ხელისუფლება იმდენჯერ ახსენებს ხალხს — ბრძენიაო, ყველაფრის გამგებ-ამტანიაო და სხვა, „ხალხისთვის თავდადებული“ მთავრობის სახელი უფრო შეეფერება.** შეიძლება ითქვას, რომ შაბათს რეკორდი დაამყარეს, თბილისელებს საბოლოოდ დაავიწყეს საკნები და, ოპოზიციის გულის გასახეთქად, მათ დიდი ექსპოზიცია შესთავაზეს. მინისტრები თავს იწონებდნენ, ხალხს ანგარიშს ვაბარებთო... მგზნებარე სახით დაიარებოდა გულანთებული ქვეყნის პრემიერი და ბავშვებს ნათელ მომავალს ჰპირდებოდა. მართლაცდა, გილაურს უყვარდა ბავშვები!.. მგზნებარებაში პრემიერს არც მინისტრები ჩამორჩებოდნენ, ტელეეკრანების წინ თავს იწონებოდნენ და ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, ვინ უფრო მეტად წარმატებული იყო.

თუმცა, გილაურის „დიდი ჩამოვლის“ შემდეგ, მინისტრებიც თვალსა და ხელსშუა გაქრნენ და ხალხი სტენდებს შეატოვეს. ერთადერთი, ვინც ბოლომდე არ მოშორებია ექსპოზიციას, დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი იულონ გაგოშიძე იყო, რომელიც, ასაკის მიუხედავად, ბოლომდე ერთგულად იდგა რუსთაველზე.

ამ დღემაც დიდი ხმაურით ჩაიგრიალ-ჩაირიხინა, თუმცა გამეჩხერებულ ხალხის ნაკადს ეს ხმაური რაოდენობას ვერ შემატებდა. ხალხის ნაწილი, ვისაც ხელისუფლების დახმარების სჯეროდა, — იქვე სახელდახელოდ წერილს სწერდა და საკუთარ გაჭირვებას აღწერდა... ნაწილი კი გასართობად და სეირის საყურებლად მოსულიყო — ერთმანეთს კვადროციკლით სეირნობაში ეცილებოდნენ, ანდა, თურქულ ჯავშანტექნიკას არ სცილდებოდნენ...

სკეპტიკურად განწყობილთა აზრი ასეთი იყო — ეს ექსპოზიცია ვერც დევნილებს დააბრუნებდა საკუთარ საცხოვრისში და ვერც მშიერთ და უპოვართ დააპურებდა, მაგრამ „ხალხოსან“ მინისტრებს კი პიარის კვარცხლბეკზე ერთი საფეხურით აამაღლებდა...

**მართლაც, მხოლოდ პიარი იყო ეს, თორემ რუსთაველზე რომ ზიზია ტრაქტორები თუ სხვა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა გამოფინეს, ამით ხომ მხოლოდ გარედან მტერს მოუკლეს გული (თუმცა, ჩვენს გარდა, რომელ ნორმალურ ქვეყანაში უკვირთ ტექნიკა!) და შიგნიდან მოყვარეს?**

**თუ ასეთი ტექნიკა გაქვთ, რატომ არის სავარგულების ნახევარზე მეტი მოუხნავ-დაუთესავი? რა ეამაყება სოფლის მეურნეობის მინისტრს? თუმცა რომელ სხვა მინისტრს აქვს საქმე საამაყოდ!**

**მართლაც, უარესის ღირსი ვართ ამ „პაკაზუხა“ მთავრობის ამტანნი!**






**ნატა ნიბლაძე.**

◉ ინფორმაცია

## ნაბუქოს პროექტში სომხეთს აზერბაიჯანი გადაელობება

**ეკონომიკის ექსპერტის გია ხუხაშვილის განცხადებით „ნაბუქოს“ პროექტში სომხეთის ჩართვაზე საუბარი ნაადრევია, რადგანაც თურქეთთან მოლაპარაკების დაწყების მიუხედავად, არსებობს სომხეთისათვის პრობლემური სახელმწიფო აზერბაიჯანი, რომელიც უშუალოდ ჩართულია „ნაბუქოს“ პროექტში და ეს სახელმწიფო არ დაუშვებს სომხეთის პროექტში ჩართვას.**

**„აზერბაიჯანი არ დაუშვებს სომხეთის პროექტში ჩართვას, რადგან მათ სერიოზული პრობლემები გააჩნიათ ყარაბახის კონფლიქტთან დაკავშირებით, ეს ინფორმაცია თითიდან გამოწოვილია, რაც შეეხება საქართველოს, იგი „ნაბუქოს“ პროექტის ნაწილი უკვე არის, რადგანაც არსებობს „შაჰდენიზის“ პროექტი, რომელშიც საქართველო უკვე მონაწილეობს და, რომელიც „ნაბუქოს“ პროექტის ნაწილი გახდება“, - განაცხადა ხუხაშვილმა.**

**როგორც რუსული გამოცემა „კომერსანტი“ წერს, სომხეთი შესაძლოა „ნაბუქოს“ პროექტში ჩაერთოს. ექსპერტებს სომხეთის „ნაბუქოსთან“ დაკავშირების შესაძლებლობა საქართველოში არსებული არასტაბილური ვითარების გამო დასაშვებად მიაჩნიათ.**

**„ექსპრესნიუსი“**

### ◎ ბევრი იარა თუ ცოტა იარა...

# წუთისოფელს კაცად შერჩე ბოლომდე!..

## ყვითელი ვარდი... ხო ში მინის ბაღიდან

**იოსებ ნონეშვილმა ექვსი ათეული წელი იცხოვრა, იღვაწა, ყველგან ღიმილი იყო მისი სავიზიტო ბარათი... გამორჩეული „ლექსით, გულით და საქმითაც“... მის ლექსებში ჰპოვებთ „იდუმალ ნაღველს ჩუქურთმის მჭრელის“, ქართული მზისა და ვაზის საგალობელს...**

**სიცოცხლის ბოლომდე ქართული სულის სადარაჯოზე იდგა – ყველგან, შინ და გარეთ! უცხოეთის გზებზე ხშირად მოგზაურობდა და ასევე ხალისიანად მასპინძლობდა სტუმრებს... ლამის მთელი დედამიწიდან!**

**სწორედ ამ გასაოცარ თვისებაზე გვესაუბრა პოეტის ვაჟი, ბატონი სანდრო ნონეშვილი.**

„1978 წლის 14 აპრილს იოსებ ნონეშვილმა დაწერა ლექსი „ინდიელი გოგონას ლოცვა, პერუში გაგონილი“.

ყველასთვის ცხადია, რომ ლექსი ქართულ ენას ეძღვნება. თავადაც ვმონაწილეობდი დემონსტრაციაში. როდესაც 1986 წლის მაისში კარდენახში იოსებ ნონეშვილის სახლ-მუზეუმი უნდა გაგვეხსნა, მოსაწვევ ბარათში გამოვიყენეთ ნაწყვეტები რამდენიმე ლექსიდან და მათ შორის ამ ლექსიდანაც, ოღონდ ცენზურამ ამოიღო...

1986 წელსაც კი ვერ შევძელით მისი დაბეჭდვა. მამაჩემმა მაინც მოახერხა და იმდროინდელ ერთ-ერთ კრებულში ეს ლექსი გააპარა“, – ამბობს ბატონი სანდრო.

მან მიამბო ვიეტნამის პრეზიდენტთან ხო ში მინთან იოსებ ნონეშვილის სტუმრობის ერთი ეპიზოდი. ნონეშვილი პირველი ქართველი პოეტი იყო, რომელიც პირადად მიიღო ხო ში მინმა. იგი თავადაც ბრწყინვალე ლექსებს წერდა.

შეხვედრის დროს ხო ში მინს ხელკავით სხვა ოთახში გაუყვანია პოეტი. უზარმაზარი ბიბლიოთეკის თაროსთვის კიბე მიუდგამს, გადმოუღია ალბომი და იოსებ ნონეშვილისთვის გამხმარი ყვითელი ვარდი უჩვენებია, რომელსაც ეწერა: „გორი. იოსებ სტალინის სახლ-მუზეუმი“. შემდეგ ასევე, უსიტყვოდ, კვლავაც ხელკავით გამოუყვანია ბაღში და ერთი ყვითელი ვარდი უჩუქებია. „სამი დღე და ღამე წვალობდა ამ შეხვედრის მონაწილე სსრ კავშირის საცოდავი ელჩი, რომ გაეგო, რა უთხრა მამას ხო ში მინმა“, – ღიმილით მეუბნება ბატონი სანდრო.

თქვენ წარმოგიდგენიათ ესპანეთში ჩასული იოსებ ნონეშვილი და ბასკეთის უნახავად უკან დაბრუნებული? იმის მიუხედავად, რომ ბასკეთის დამოუკიდებლობისთვის მებრძოლი ორგანიზაციები გააქტიურებული იყვნენ და იქ ჩასვლა ურისკო არ იყო, იოსებ ნონეშვილმა მაინც მიიღო ბილბაოში გამგზავრების ნებართვა და ესპანელ მეგობრებთან ერთად მანქანით გაეშურა.

მან ბილბაოში პოეზიის საღამო გამართა. ლექსებს ცნობილი ბასკი პოეტი შაბიერ კინტანა იქვე თარგმნიდა, იოსებ ნონეშვილი ისეთი შთაგონებითა და არტისტიზმით კითხულობდა ლექსებს, ბასკებმა უარი თქვეს თარგმანზე. 3 საათის განმავლობაში, ტაშის გრიალში განაგრძობდა ქართულ ენაზე ლექსების კითხვას და მებრძოლ ბასკებს შემართებით მუხტავდა...

იოსებ ნონეშვილის ოჯახი ხშირად მასპინძლობდა უცხოელ მწერლებს. ბატონ სანდროს განსაკუთრებით დაამახსოვრდა ამერიკელი მწერლის არტურ ჰეილის სტუმრობა. „მისი მასპინძლობის პატივი მეც მხვდა წილად, – სიამაყით აღნიშნავს ბატონი სანდრო, – არტურ ჰეილიმ ვაჟა-ფშაველას საფლავის მონახულება მოისურვა. თავადვე მიაგნო ვაჟას საფლავს და როცა დავუდასტურეთ, რომ ნამდვილად მის საფლავთან იდგა, ჰეილიმ დაიჩოქა და დიდხანს ასე იყო განმარტოებული. არ ვიცი, რას ელაპარაკებოდა დიდ ვაჟას.



იოსებ ნონეშვილი ხო ში მინთან შეხვედრაზე



იოსებ ნონეშვილი

აღმოჩნდა, რომ კალიფორნიაში, წიგნების ბაზრობაზე, საბჭოთა პავილიონში უნახავს ინგლისურ ენაზე გამოცემული ვაჟა-ფშაველას საბავშვო მოთხრობები: „ხმელი წიფელი“, „შვლის ნუკრის ნაამბობი“...

ამ ნაწარმოებებს არტურ ჰელის მსოფლმხედველობა არსებითად შეუცვლია.

იოსებ ნონეშვილის ცხოვრებაში გამორჩეული ეპიზოდია ჯონ სტაინბეკის თბილისში ჩამოსვლა, მასთან პოეტს მიმოწერა ჰქონდა. ჯონ სტაინბეკი აღფრთოვანებულა ქსოვრელების მედუდუკეთა დასით და მათთვის პარკერის ოქროს კალამი უჩუქებია. ამ კალმით მან ხელი მოაწერა ნობელის პრემიის ლაურეატობის მიღების დოკუმენტს.

„მამაჩემმა ძალიან განიცადა, როდესაც შეიტყო, რომ ვიეტნამის ომში სტაინბეკის ვაჟი იბრძოდა. ამერიკის საამაყო მწერალმა თავად ჩაიყვანა შვილი ვიეტნამში. სტაინბეკის ვაჟი ვიეტნამში დაიღუპა, მწერალი კი დარდს გადაჰყვა. არასოდეს დამავიწყდება მამაჩემის ცრემლიანი თვალები. ამაზე ჩანაწერებიც აქვს...“

საგაზეთო წერილი ყველაფერს ვერ დაიტევს. იოსებ ნონეშვილის არქივში უამრავი ძვირფასი ჩანაწერია. სანდრო ნონეშვილი აპირებს წერილებისა და ჩანაწერების წიგნად გამოცემას. მომავალ წელს ხომ პოეტს 90 წელი უსრულდება.

საკმაოდ დიდხანს თურმე პოეტის დაბადების თარიღის შესახებ საზოგადოებას სხვადასხვა ინფორმაცია ჰქონია, ზოგმა 1918, ზოგმაც 1919 თუ 1920 წელი იცოდა...

„ეს ცთომილება მამის აღმზრდელის, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის ვარო ვარდიაშვილის ბრალია. იოსებ ნონეშვილს მამა ადრე დაეღუპა, მე-8 კლასაში დედაც გარდაეცვალა და სკოლის მოსწავლე დაობლდა. ამიტომ ქალბატონმა ვარომ ყალბი ცნობა აიღო და 2 წლით „დააბერა“, რომ გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციის სტამბაში მუშად მოეწყო...

საარქივო მასალებით დადგინდა, რომ მამაჩემი სინამდვილეში 1920 წლის 1 აპრილს არის დაბადებული...“

პოეტის ვაჟი სანდრო ნონეშვილი ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, იტალია-საქართველოს მეგობრობისა და თანამშრომლობის ასოციაციის გენერალური დირექტორია. მისი მეუღლე თამარ ნონეშვილი კი პედაგოგია, ფრანგული ენისა და ლიტერატურის სპეციალისტი. ჰყავთ ორი შვილი: საბა ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის ფაკულტეტის II კურსის სტუდენტია, დერიუგინის საკალათბურთო გუნდის ცენტრალური თავდამსხმელია. მარიამი 12 წლისაა, მაკა მახარაძის საბალეტო სტუდიის მოცეკვავეა.

ნონეშვილების ოჯახი ხალხის საყვარელი მგოსნის იოსებ ნონეშვილის იუბილესთვის ემზადება. ჩვენ კი გთავაზობთ პოეტის რამდენიმე ლექსს ახლად გამოცემული კრებულიდან „თუ დედა ენით არ ხარ გაზრდილი“.

**თამარ შაიშმელაშვილი.**

---

## ბევრი იარა თუ ცოტა იარა...

**ბევრი იარა თუ
ცოტა იარა,
ლამის დედამიწა
შემოიარა.
რამდენი ბილიკი,
რამდენი გზა-შარა,
რომი და ლონდონი,
პრაღა და ვარშავა.
ხან მუსონს გაასწრო,
ქარიშხლად მობერილს,
ვენა და ტირანა,
პეკინი, ბომბეი...
ხან ცხელი სამუმი
გასჭრა და გაფლითა.
ჩაფრინდა ჰანოის,
ბეირუთს ჩაფრინდა.
როცა მიდიოდა
მშობლიურ მთებიდან,
როგორც ავგაროზი,
ზედ გულზე ეკიდა
მიწა თბილისისა,
თბილი და გრძნეული,
დედის თავმანდილში
ფრთხილად გახვეული.
და სძულდა ანდაზა,
რომ სადაც მიხვიდე,
ქუდიც იქაური
იყიდე...
ქართულ ქუდს არასდროს
იხდიდა თავიდან,
პარიზს თუ ვაშინგტონს
ამ ქუდით ჩავიდა.
და სადაც მივიდა,
და სადაც შეჩერდა,
ქართლთან თუ კახეთთან
მსგავსებას ეძებდა.
და სადაც ოცნების
აფრები გაშალა,
ეგონა უჭვრეტდა
რაჭას თუ აჭარას.
მზე სწვავდა გაგანა
თუ ცივად აწვიმდა,
სულ თვალწინ სახატედ
ეხატა მთაწმინდა.
როდესაც გაუდგა
კვალს ჰომიროსისას
და აპოლონიის
ნანგრევიც მოსინჯა, –
ელინის მიწაზე,
ერთ დროს რომ ლაღობდა,
რუსთაველის გუგუნი
ჩაესმა რატომღაც.
და ტიურინგიის
ატეხილ ტყის პირას,
როდესაც გოეთეს
სასახლე იხილა,
ყვარელს და ვაიმარს
თუმც ერთად რა უნდა,
და მაინც თვალდათვალ
ილია დაუდგა.
ბევრი იარა, თუ
ცოტა იარა,
თითქმის დედამიწა
შემოიარა...
და თუ იქ, სხვა ცისქვეშ,
შორეულ მხარეში,
უცხო რამ ჩაენთო
გულშიც და თვალებშიც,
უცხო რამ, რაც მგოსნის
ხსოვნაში დარჩება.
უცხო რამ, რაც წლებით
არ დაიჩაგრება,
უცხო რამ, უთქმელად
გულს რომ არ ეთმობა, –
ამ წიგნში შეკინძა,
ამ წიგნში შეკონა,
ამ წიგნში აასხა
ლექსების ჯაგნებად...
და, სულზე უტკბესო,
ქვეყანავ მშობელო,
ქართულო ქალაქო,
ქართულო სოფელო,
მთაბარო,
ყვავილთა
ჩანჩქერით
ნაბანო,
სამყაროს გვირგვინში
ჩასმულო ალმასად,
ეს გული, ეს წიგნი,
ეს ლექსთა ჯაგანი,
მიიღე –
მუხლმოყრით
შენ შემოგთავაზა!**

## ვენეცია

**სამშობლოდან შორს მყოფ
პოეტს**

**მსურდა თავი შემექცია...
– დაგავიწყებ სიმარტოვეს –
მომიხმობდა ვენეცია.**

**ასეც რომ არ ყოფილიყო,
ზურგი როგორ შემექცია,
შეიძლება ახლოს იყო
და არ ნახო ვენეცია?..**

**ძლივს მოფრინდით...
ქარიშხალში
ალბათ ღმერთი შემეწია.
ქარში, წყალში, მინანქარში
ციმციმებდა ვენეცია.**

**წყლის ციაგი ადის ცამდე
და კვლავ წყალში ელვად
ცვივა...
ოქროს თევზით სავსე ბადე –
ვენეცია...
ზღვა და ხმელი,
ცა და წყალი
აქ ერთმანეთს
შეეცილა.**

**ქუჩა?..
ქუჩა არსად არის,
წყალში ცურავს ვენეცია.**

**... მაგრამ რარიგ იყოს კარგი,
დაგავიწყებს შენს დარდს განა,
ან გაგიგებს გულის წადილს
სხვა ქალაქი,
სხვა ქვეყანა?!
... მაპატიე, ვენეცია...**

ბევრი იარა თუ ცოტა იარა...

## ქართული რესტორანი იაპონიაში

გზაზე, უცხოეთში,
რა არ გელოდება...
წავაწყდი რესტორან
„ქართულ გემოვნებას“.
ჯიბე მოვისინჯე,
თუმცა არა მშია...
აქ უნდა დავხარჯო,
თუ რამ გამაჩნია.
ბუხარში სამწვადედ
გრწყინავს მუგუზალი,
ჭიქაშიც მუქწითლად
ღვივის „მუკუზანი“.
ეტყობა ქართველის
შემოსვლა ენიშნა,
კუთხიდან მიღიმის
ლამაზი გეიშა.
ცოლი მეჩხუბება:
– არსად გაიშვებმი...
გეყო, ნუ შეჭამე
თვალით გეიშები.
... თამადა აკლია,
გაგვიხსნას გუნება,
თორემ პურ-მარილი
არ დაიწუნება.
„მრავალჟამიერი“
მოსჩქეფს ღვინოსავით
და შავი მუშამბით
მოდის ფიროსმანი.
... ასე, რა შორეულ
გზას არ გაუყვები,
მხვდება საქართველო,
მარად განუყრელი.

## გამარჯობათ, ბასკებო!..

გამარჯობათ, ბასკებო,
ნოდიებო,
ნარსიებო...
ღმერთმა გაგაასკეცოთ,
შეგისრულდეთ, რაც ინებოთ.

როგორ დამავიწყდება,
ბევრიც განვლო წელიწადი,
თქვენი გამასპინძლება,
ლობიო და ცხელი მჭადი.

გესალმებით ქართულად
ერისთავებს,
ინაურებს...
თასებს ვცლით ვახტანგურად
ისე გაგეშინაურეთ,

ცხადია თუ არაკი?..
ვხედავ ჩვენს მთებს
ბაღჩა-ბაღებს.
როგორც ჩვენი არაგვი
არაგოა ხედნის ტალღებს.

გამარჯობათ, ბასკებო,
გესალმებით
ნათესავი...
ღმერთმა გაგაასკეცოთ,
თქვენც ცოტანი
ხართ ჩვენსავით.

თქვენს ხალხს,
თქვენს ერს დავლოცავ,
(ერს ბასკურად ერი ჰქვია...)
შეგიქებთ მზის ამოსვლას,
ვით ჩვენი მზე შემიქია.

ბაიებს დაგილოცავთ,
თქვენ ბაიას ბას ეძახით...
ეჰ, ენახა ფიროსმანს
ეს ზღვა, ეს მთა, ეს ვენახი.

ან ქართული ლურჯი ცა
სულოაგას დაეხატა...
შევიცნობდით ფუნჯითაც
ქართულ-ბასკურ ამბავს ახალს.

აქ ნავით მოგიცურავთ
თუ ცხენდაცხენ გირბენიათ?
თუ ევროპაში სრულიად
იყო მხოლოდ იბერია.

გამარჯობათ, ბასკებო,
პირინეის არწივებო...
ღმერთმა გაგაასკეცოთ,
შეგისრულდეთ, რაც ინებოთ!

## ინდიელი გოგონას ლოცვა, პერუში გაგონილი

ღმერთო, მიშველე
დავრჩე ინდიელად,
ღმერთო, ნუ იქნები
გულმოსული...
თორემ წვეთ-წვეთობით
მივსებს ნელა
ჩემს სულს
ცთუნებანი
უცხო სულის.

მამაზეციერო,
შევასრულო მინდა,
გიყვარდესო დედა! –
ეს ღვთიური მცნება...
მაგრამ დედა ენა
თუკი დამავიწყდა,
აბა დედა ჩემი
როგორ მეყვარება?..

რაგინდ კარგი იყოს
მე სხვას არ ვინდომებ,
რაგინდ კარგი იყოს
სხვას არ ვინატრებდი...

ჩემგან მამა-პაპის
სულს ნუ გამოდევნი,
ღმერთო,
დამიტოვე
ენა წინაპრების.

ღმერთო, ჩემი ხალხი,
ვის რას ედავება,
ნატრობს ბედნიერი
იყოს ყველა ერი...
ღმერთო,
ნუ წაართმევ
ჩემს ხალხს
დედა ენას,
ქვეყნად ყველა ენა
არის შენსმიერი.

ჩვენ ჩვენი ენა გვაქვს,
ჩვენი ადათ-წესი...
ვაგლახ... ჩვენი წესი
ყველას როდი ესმის.

ღმერთო, ნუ ჩაქუფრავ
ჩემს ცას
ბინდის ფერად...
ღმერთო,
მიშველე,
დავრჩე ინდიელად.

1978 წლის 14 აპრილი.

## ათენში, ბაირონის ძეგლთან

თავს წამომადგა აჩრდილი შენი,
სადაც დაგაწყდა
სიცოცხლის აფრა.
– მგოსანს სიკვდილი ბრძოლაში
შვენის! –
ლორდ ჯორჯ ბაირონ,
შენ გიხმოზ, ალბათ.

და გეტყვი:
თუმც მხდალი არ მქვიან,
ბოღმით და ცრემლით
მევსება თვალი...
ჩემი ხალხისთვის ვერ
მომივლია,
მე სხვა ხალხს როგორ
შევწირო თავი.

განა საბერძნეთს სტუმრად
ეწვიე?!
შენ აქ ლესავდი
ლექსსა და მახვილს.
ამაყო ლორდო,
თავი შესწირე
თავისუფლებას ბერძენი
ხალხის...

ძეს სხვა ერისას
მეტი რა გექნა,
სატევრად შენი ლექსიც ელავდა,
თეთრი იყავ და გიორგიც
გერქვა
და თეთრ გიორგად
გიცნო ელადამ.

ურჩხულს ბრჭყალები შენც
შეაჭერი
და დარჩი უკვდავ
მითად თუ ზღაპრად...
დღეს მე ჩამძახის აჩრდილი
შენი –
ქარში თამამად
გავშალო აფრა.

რა გიპასუხო...
მხდალი არ მქვიან,
თუმც ახლა ცრემლით
მევსება თვალი...
ჩემი ხალხისთვის
ვერ მომივლია,
მე სხვა ხალხს როგორ
შევწირო თავი.



შვილი – სანდრო, მეუღლე – მედეა.

მიმართვა

# იმედად მხოლოდ თქვენ მრჩებით

## თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პირველკურსელი სტუდენტის(?) ნინო გაბრიჭიძის ღია წერილი საქართველოს პრეზიდენტ ბატონ მიხეილ სააკაშვილისადმი

ბატონო პრეზიდენტო, წერილს გწერთ, პირველ რიგში, უდიდესი მადლიერებით აღვსილი პირადად თქვენი და ჩვენი ქვეყნის მიმართ, რადგან წლეულს კონკურენტუნარიანმა და ჯანსაღმა საგამოცდო პირობებმა საშუალება მომცა, გავმხდარიყავი სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტი. წერილის დასაწყისში (სტუდენტის გასწვრივძ თავს უფლება მივეცი და ფრჩხილებში კითხვის ნიშანი ჩავსვი, რადგან რაიონის მკვიდრს საშუალება არ მაქვს, რომ გადავიხადო სწავლის ქირა: მამა არ მყავს, (ის სს „შაორჰესის“ სადერივაციო გვირაბის აფეთქების დროს დაიღუპაძ, დედა სამი წელია შეამცირეს ამავე საწარმოდან, სოციალური დახმარების პენსია კი მოეხსნა სრულწლოვანების გამო.

ძალიან მერიდება, ბატონო პრეზიდენტო, თქვენი შეწუხება, მერიდება ყველა იმ ახალგაზრდის, რომელთაც მსგავსი მდგომარეობა აქვთ ამჟამად, მაგრამ თქვენი დიდსულოვნების იმედით, გთხოვთ გამიწიოთ დახმარება პირველი წლის სწავლის საფასურის დაფარვაში. მზად ვარ, თბილისში სწავლასთან ერთად ვიმუშაო ქალისთვის შესაფერის ნებისმიერ სამსახურში და დარწმუნებული ვარ, ნამდვილად გამოვადგები ჩვენს ქვეყანას...

პატივისცემით
ნინო გაბრიჭიძე,
ქ. ტყიბული,
ჭელიშვილის ქუჩა № 6.

ვიზიტი

# სტუმრობა მუზეუმში

**2009 წლის 1 სექტემბერს დავით ბააზოვის სახელობის საქართველოს ებრაელთა ისტორიის მუზეუმს ესტუმრა „LORD CULTURAL RESOURSCE“-ს პრეზიდენტი, სამუზეუმო საქმის წამყვანი ექსპერტი მსოფლიოში ბატონი ბარი ლორდი.**

იგი მუშაობს სამუზეუმო საქმის მენეჯმენტის, დაგეგმვისა და თრეინინგის პროგრამებზე მსოფლიოს სხვადასხვა უნივერსიტეტსა და მუზეუმში. ითვალისწინებს კონკრეტული მუზეუმის მოთხოვნებს და უსადაგებს სათანადო სტრატეგიას. მას აქვს უნიკალური მიდგომა რეგიონების მუზეუმების ფუნქციური მოთხოვნებისა და სივრცის დაგეგმვისადმი. ბატონმა ბარი ლორდმა განახორციელა მსოფლიოს 45 ქვეყანაში 1700 პროექტი მუზეუმების დაგეგმვის, ტექნიკურ-ეკონომიკური უზრუნველყოფის, კოლექციების ანალიზისა და საგამოფენო დაგეგმვის დიზაინისა და ინსტალაციის მიმართულებით.

ბატონი ბარი ლორდი დიდად დაინტერესდა საქართველოს ებრაელთა ისტორიის მუზეუმისა და საქართველოში ებრაელთა მრავალსაუკუნოვანი ისტორიის საკითხებით, რომლებიც მას გააცნო მუზეუმის დირექტორმა გივი ლამბაშიძემ. სტუმარს საჩუქრად გადაეცა მუზეუმის „შრომების“ კრებულები, მსოფლიოში სახელგანთქმული ებრაელი მხატვრის, საქართველოს დიდი მეგობრის სოლომონ გერშოვის (1906-1989ძ საგამოფენო აფიშები და სხვა.

2-4 სექტემბერს ბარი ლორდის სპიკერობით ჩატარდა სამუზეუმო დაგეგმვის სემინარი საქართველოს მუზეუმების ხელმძღვანელობისათვის საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს სააქტო დარბაზში.




**სურათზე: ბატონი ბარი ლორდი (მარჯვნივ) მუზეუმში ესაუბრება ბატონ გივი ლამბაშიძეს.**

ინფორმაცია

## ქარხანა გაკოტრდა... კრედიტი ვერ გადაიხადა

**დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ ქედის ღვინის ქარხანა გაკოტრდა. პრობლემა სახელმწიფოსგან მიღებულმა მილიონნახევრიანმა კრედიტმა შექმნა, რომლის დაფარვაც ქარხანამ ველარ შეძლო.**

**საქმე სასამართლომდე მივიდა. სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე კი ქედის ღვინის ქარხანა დღეს უკვე ნაწილ-ნაწილ გაყიდვის საფრთხის წინაშე აღმოჩნდა.**

**ქარხნის მეპატრონე ილია თუშიშვილი აცხადებს, რომ 2004 წელს სახელმწიფომ დახმარების გარანტიით მილიონნახევარი ლარის ღირებულების ყურძნის მოსავალი მიაღებინა, თუმცა სახელმწიფო ქარხანას აღარ დახმარებია.**

**ხალხის პირისპირ მარტო დარჩენილი ილია თუშიშვილი, მევენახეების ვალის დაფარვას ნაწილობრივ საკუთარი სახსრებით შეეცადა, თუმცა იმის გამო, რომ დავალიანება საკმაოდ სოლიდურ თანხას შეადგენდა, მისი გასტუმრება მხოლოდ ნაწილობრივ მოხერხდა.**

**თუშიშვილს მევენახეების გარდა ბანკის კრედიტიც უნდა დაეფარა, რაც ასევე ვერ მოახერხა.**

„ექსპრესნიუსი“

◎ უცხოური გამოცემებიდან

# პუტინმა მსოფლიოს თვალში ნდობა დაკარგა

**დამოუკიდებელმა ამერიკულმა ორგანიზაციამ WorldPublicOpinion-მ მსოფლიო ლიდერების პოპულარობის მორიგი, წლევანდელი რეიტინგი გამოაქვეყნა. გამოკითხვაში მსოფლიოს 20 ქვეყნის (რომლებშიც დედამიწის მოსახლეობის 62 პროცენტი ცხოვრობს) 19224 რესპონდენტი მონაწილეობდა. ჩატარებულმა გამოკითხვამ შარშანდელთან შედარებით მნიშვნელოვნად განსხვავებული სურათი უჩვენა.**

**რუსეთის პრემიერ-მინისტრმა ვ. პუტინმა წლევანდელ გამოკვლევაში ბოლოსწინა ადგილი დაიკავა.** როგორც «Lenta.ru» მიუთითებს, შარშან ასეთსავე გამოკითხვაში იგი მეორე ადგილი იყო. როგორც წლევანდელმა გამოკითხვამ გამოავლინა, პუტინს გამოკითხული რესპონდენტების მხოლოდ 34 პროცენტი ენდობა და ამით **ის მხოლოდ ირანის პრეზიდენტ მაჰმუდ აჰმადინეჯადს უსწრებს, რომელმაც 28 პროცენტით ბოლო ადგილი დაიკავა.** ამასთან, პუტინს არ ენდობა გამოკითხულ რესპონდენტთა 50 პროცენტი და ამ მაჩვენებლით პუტინი გამოკითხვის რვა მონაწილეს შორის პირველ ადგილზე აღმოჩნდა, რითაც მაჰმუდ აჰმადინეჯადსაც კი გაუსწრო. ამ უკანასკნელს რესპონდენტების 49 პროცენტი არ ენდობა.



**პუტინისადმი უნდობლობა** ყველაზე აქტიურად გამოხატეს პოლონეთში – 76 პროცენტი, გერმანიაში – 72 პროცენტი და აშშ-ში – 69 პროცენტი. საწინააღმდეგო სურათია რუსეთში: აქ პუტინს გამოკითხულ რესპონდენტთა 82 პროცენტი ენდობა. იგი ძალიან პოპულარულია ჩინეთშიც (64 პროცენტი) და ინდოეთშიც (65 პროცენტი). უფრო მეტიც, პუტინს ასევე ენდობა უკრაინელ რესპონდენტთა 57 პროცენტი.

**მსოფლიო ლიდერებს შორის ყველაზე მაღალ რეიტინგს ფლობს აშშ–ს პრეზიდენტი ბარაკ ობამა, რომელმაც რეკორდული მონაცემი – 64 პროცენტი მიიღო.** ასეთი შედეგი მსგავსი გამოკითხვით ჯერ არც ერთ პოლიტიკოსს არ ჰქონია (საერთოდ, უმაღლესი შეფასება 40 პროცენტს არასდროს არ ასცილებია). შედარებისთვის დავსძენთ, რომ შარშანდელ გამარჯვებულს – გაეროს გენერალურ მდივანს **პან გი მუნს** მხოლოდ 35 პროცენტი ჰქონდა. წელს კი მან შარშანდელი მიღწევა 5 პროცენტით გააუმჯობესა, 40 პროცენტი მოაგროვა და სარეიტინგო პოზიციაში მეორე ადგილი დაიკავა. საინტერესოა, რომ პირველ და მეორე სარეიტინგო პოზიციებს შორის ძალიან დიდი – 24-პროცენტიანი განსხვავებაა.

# პუტინმა საქართველოსთან წარმოებული ომიდან არასწორი დასკვნები გააკეთა

**(დიდი ბრიტანეთი, „The Financial Times”, სარედაქციო წერილი. 08.08.09 წ).**

**ციმბირში დასვენებისას ვლადიმერ პუტინი რომ შიშველი ტორსით ფოტოგრაფების წინ პოზიორობს, – კაცს უკვე ნანახის უსიამოვნო გრძნობას აღგიძრავს. რუსეთის პრემიერ-მინისტრის ყოველწლიური მსგავსი „ფოტოსესიები“ იმ აზრს ადასტურებს, რომ იგი გადაჭარბებით ამაყობს თავისი მკერდის კუნთებით და სპორტული ფორმით.**

ძნელია შემთხვევითად მიიჩნიო ის ფაქტი, რომ ეს ფოტოები მეზობელ **საქართველოსთან** რუსეთის ულამაზო და მოკლე ომის პირველ წლისთავთან დაკავშირებით გამოქვეყნდა. თავის გამლიზიანებელ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკასთან კონფლიქტს მოსკოვი რუსული ძლიერების ტრიუმფად, ხოლო პუტინს – ძლიერ ლიდერად მიიჩნევს, რომელიც ამ ძალმოსილების სულისჩამდგმელია. თუმცა **ამ ომს არავისთვის არ მოუტანია არც პატივი და არც დიდი ხეირი, მათ შორის რუსეთისთვისაც.**

საქართველომ ეს ომი წააგო და დაკარგა მისგან გამოყოფილი ორი პროვინცია, აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი, სადაც ამჟამად დისლოცირებულია რუსეთის ათასობით ჯარისკაცი. **მართალია, საქართველოს პრეზიდენტი სააკაშვილი არ გადადგა, თუმცა ამას მოითხოვდნენ დემონსტრანტები, მაგრამ მისი პროდასავლური გონიერი დემოკრატის რეპუტაცია აშკარად შეიბღალა.**

**აფხაზეთმა ერთი არასასურველი პატრონი მეორით შეცვალა.** მისი დამოუკიდებლობა მხოლოდ რუსეთმა და ნიკარაგუის პრეზიდენტმა დანიელ ორტეგამ აღიარეს. ნიკარაგუა თითქმის მთლიანად რუსეთის ხარჯზე არსებობს: ბიუჯეტის ნახევარს, საპენსიო გადასახადს მთლიანად, სურსათის იმპორტის 97%-ს და საგარეო ინვესტიციების 90%-ს რუსეთი უფარავს.

**სამხრეთ ოსეთის ლიდერებს სურთ რუსეთის ნაწილი გახდნენ.** ამ რეგიონის მოსახლეობა სილატაკეში ცხოვრობს, ხოლო რუსეთის მიერ გამოყოფილი დახმარების დიდი ნაწილი, როგორც ჩანს, კორუფციის შავ ხვრელში მიედინება. ათასობით ადამიანს სახლ-კარი არ აქვს, რეგიონი ადგილობრივ ქართული მოსახლეობისაგან „ეთნიკურად გაიწმინდა“. ამის შემდეგ **რუსების განცხადებები „ჰუმანიტარული ინტერვენციის“ თაობაზე, უბრალოდ, სასაცილოდ ჟღერს.**

**მოსკოვში ამ ომს იმის დასტურად მიიჩნევენ, რომ რუსეთის ძლიერება პოსტსაბჭოთა სივრცეში დომინირებულ როლს ასრულებს.** შესაძლოა, რუსული ტანკები არც ისე მანევრულებია, მაგრამ ამოცანას ჯერჯერობით კარგად ასრულებენ. **ეს ომი იყო ყველა მეზობლისათვის გაგზავნილი სიგნალი, რომ არ უნდა ისურვონ ნატოში შესვლა!** ამ ომმა აგრეთვე უჩვენა: რუსეთი დარწმუნებულია, რომ საგარეო პოლიტიკა არის თამაში ნულოვანი საწყისიდან, სადაც ერთი მხარის წაგება მეორის მოგებას ნიშნავს.

**პუტინის მოქმედება მის „კაგებეშნიკურ“ სკოლაზე მიუთითებს: ის მშვენიერი ტაქტიკოსია, მაგრამ – სუსტი სტრატეგი. მას არ აქვს ხანგრძლივ პერსპექტივაში კავკასიის მომავლის მკაფიო ხედვა და არ იცის, თუ როგორ მოაგვაროს მეზობლებთან კარგი, ნორმალური ურთიერთობა. საქართველოს გამო რეგიონში დღეს რუსეთს კი არ უმადლიან, არამედ მისი ეშინიათ. თავისი მეზობლების მოსასყიდად რუსეთს აქვს გაზი და ფული. მაგრამ შიში და მოსყიდვა გრძელვადიანი კავშირების ძლიერ სუსტი საფუძველია.**

პრეზიდენტ ბარაკ ობამას რუსეთთან მიმართებაში სურს „გადატვირთვის ღილაკს დააჭიროს“. საამისოდ კი ერთმანეთის პატივისცემაა საჭირო. **ამასთან, უნდა ისწავლო პატივისცემა არა მარტო ძლიერისადმი, არამედ სუსტისადმისაც. აი, ის გაკვეთილი, რომელიც კუნთებიანმა პუტინმა, როგორც ჩანს, ვერ ისწავლა.**

# „ვლადიმერ პუტინი – შავბნელი აღმასვლა ხელისუფლებისკენ“

**(ამერიკულ ჟურნალ „GQ“-ს რუსული ვერსიიდან ამოღებულია სტატია პუტინის შესახებ).**

**ამერიკულმა ბლოგერებმა სადისკუსიო კომპანია დაიწყეს რუსეთზე სტატიის შესახებ, რომელიც გამოქვეყნდა ჟურნალ „GQ“-ს ამერიკულ ვერსიაში, მაგრამ ამოღებულ იქნა ჟურნალის რუსული ვერსიიდან. ამას თაობაზე 2009 წლის 6 სექტემბერს იუწყება «Эхо Москвы».**

სტატია ეკუთვნის სკოტ ანდერსონს და ასეა დასათაურებული: **„ვლადიმერ პუტინი – „შავბნელი აღმასვლა ხელისუფლებისკენ“.** იგი ეძღვნება 90-იან წლებში რუსეთში მომხდარი ტერორისტული აქტების გამოძიებას და ემყარება ინტერვიუს რუსეთის სპეცსამსახურის ყოფილ თანამშრომელ მიხეილ ტრეპაშკინთან. მან ამერიკულ ჟურნალისტებს უამბო 1999 **წლის სექტემბერში მოსკოვსა და ბუინაკსკში საცხოვრებელი სახლების აფეთქებაზე, რომელიც რუსეთის უშიშროების ფედერალური სამსახურის მოწყობილი იყო და მიზნად ისახავდა ომის პროვოცირებას ჩეჩნეთში.** მაშინ ამ საქმეს თვით მ. ტრეპაშკინი „იძიებდა“ და სამაგიეროდ 4 წელი ციხეში გაატარა. ამ სკანდალის გარემოებებზე „ეხო მოსკვას“ უამბო სამოქალაქო თავისუფლების ფონდის ხელმძღვანელმა ალექსანდრე გოლდფარბმა.

სკანდალი, როგორც ითქვა, იმან გამოიწვია, რომ **სტატიის გამო (რადგან ეს ფაქტები ვ. პუტინის წარსულს უკავშირდება) მოსკოვმა აკრძალა რუსეთში ამ ჟურნალის სექტემბრის ნომრის რუსული ვერსიის გავრცელება და მის თაობაზე პრესაში რაიმე ინტერვიუს გაკეთება.** ეს კი მსოფლიოს ახალი ამბების სააგენტოებმა აიტაცეს და ინტენსიური დისკუსიები გააჩაღეს. რუსეთმა ვერ გაითვალისწინა, რომ თავისუფალ მედიაში ყოველ აკრძალვას უკუეფექტი აქვს და აკრძალულ სტატიას რეკლამას უკეთებს.

მოამზადა
**ამირან გაბისონიამ**

# დედამიწის ზურგზე

**სამხრეთი კორეა ფხენიანს ბრალს სდებს წყალდიდობაში, რასაც ადამიანთა მსხვერპლი მოჰყვა**



**კაშხალზე წყლის გაშვებასთან დაკავშირებით სასაზღვრო მდინარე იმჯინგანში, რაც კვირას მოხდა სამხრეთ კორეის მხარის მიერ ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე, სამი სამხრეთკორეელი ტურისტი დაიღუპა, სამი უგზოუკვლოდ დაიკარგა. სეული მოითხოვს განმარტებას.**



**ესტონეთში მთვრალი რუსი დიპლომატი პოლიციელთა ავტომობილს დაეჯახა**

**გზაზე დებოში მოაწყო ნარვაში გენერალური საკონსულოს მრჩეველმა კონსულმა სერგეი სუხანოვმა. რუსეთის ხელისუფლების ადგილობრივ წარმომადგენლობაში იგი მეორე კაცია. მისი თავგადასავლები კი დაიწყო სტრიპტიზ-ბარში სტუმრობის შემდეგ.**

**იუშჩენკომ მოუწოდა უმაღლეს რადას, გადადგეს**



**უკრაინის პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ უმოქმედო პარლამენტი უკრაინისთვის ძვირადღირებული შოუა. იგი აგრეთვე საუბრობს ქმედუნარიანი რადას მიღების შესაძლებლობაზე პრეზიდენტის არჩევნებისთვის. საარჩევნო კამპანიის დაწყებასთან დაკავშირებით იუშჩენკომ გამოთქვა რამდენიმე ბრალდება მოსკოვის და პრემიერ-მინისტრის მისამართით.**

**უგო ჩავესი ოფიციალური ვიზიტით თურქმენეთში ჩავიდა**

**ვენესუელის რესპუბლიკის პრეზიდენტი პირველი სახელმწიფოს მეთაურია დასავლეთ ნახევარსფეროდან, რომელიც თურქმენეთს ეწვია. აშხაბადის საერთაშორისო აეროპორტში მას შეხვდა თურქმენეთის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე ბაიმურად ხოჯამუხამედოვი. პრეზიდენტების ოფიციალური შეხვედრა გათვალისწინებულია ორშაბათისთვის.**



**პაპუა-ახალ გვინეაში უზარმაზარი ვირთხები გამოჩნდნენ**

**ახალი სახეობის ვირთხის სიგრძე 82 სანტიმეტრია. ეს ერთ-ერთი ეგზოტიკური აღმოჩენაა. ისინი ბინადრობენ ვულკან ბოსავის კრატერის ფსკერზე. მათ სურათი გადაუღეს ბი-ბი-სი-ის კინემატოგრაფისტებმა, რომლებიც იღებდნენ დოკუმენტურ მასალას კუნძულოვანი ოკეანიის სახელმწიფოში ვულკანების შესახებ.**

**ავღანეთში ამერიკელი ჯარისკაცი აფეთქდა ნაღმზე, რომელიც ბოევიკების მიერ იყო დაყენებული**



**ამრიგად, მიმდინარე თვის პირველ დღეებში დაღუპულთა საერთო რაოდენობამ ექვს მიაღწია. აგვისტოში პენტაგონმა ავღანეთში განიცადა ყველაზე მეტი დანაკარგი – 51 კაცი – ომის დაწყების დღიდან. მანამდე ყველაზე დიდი დანაკარგები დაფიქსირებული იყო ივნისში – 44 სამხედრო მოსამსახურე.**

**ფილიპინების სამხრეთში ბორნის დაღუპვას 9 კაცი ემსხვერპლა, 33 კაცი დაიკარგა**



**ადრე იტყობინებოდნენ სამი დაღუპულის შესახებ. 847 მგზავრიდან და ბორნის ეკიპაჟის 117 წევრიდან გადაარჩინეს 926 კაცი. ავარია 6 სექტემბერს დილით ადრე მოხდა ღია ზღვაში, დაახლოებით 100 კილომეტრის დაშორებით სამხრეთ სანავსადგურო ქალაქ ზამბოანგიდან.**

## ჩუმი, ზუსტი და მძიმე

მსოფლიოში ყველაზე წყნარი ადგილია სატელეფონო კომპანია „ბელის“ აკუსტიკური ლაბორატორიის ეგრეთ წოდებული „მკვდარი ოთახი“. მისი კედლები გარე ხმაურის 99,98 პროცენტს შთანთქავენ.

* * *

ყველაზე ზუსტ სასწორს „სარტორიუს – 4108“-ს, რომელიც გერმანიის ქალაქ ჰოტინგემში დაამზადეს, 0,00000001 გრამამდე სიზუსტით აწონვა შეუძლია. ნივთიერების ეს ოდენობა ეკვივალენტურია იმ დახარჯული სალებავის ერთი მესამოცედი ნაწილისა, რომელიც იმ ინფორმაციის ბოლოს დასმული წერტილის სალებავს დასჭირდა.

* * *

მსოფლიოში ყველაზე მძიმე მაგნიტი დუბნის ბირთვულ კვლევათა გაერთიანებული ინსტიტუტის სინფქროფაზატრონისთვის დაამზადეს. მისი დიამეტრია 60 მეტრზე მეტი, ხოლო წონა 40 ათას ტონას შეადგენს.



## მოოქროვილი სიწმინდე

ბირმული ლეგენდით, ეს უზარმაზარი ლოდი უფსკრულში მის თხემზე დადებული სკივრის წყალობით არ ვარდება, რომელშიც ბუდას თმის ღერი ინახება. ბუდისტებისთვის ეს წმინდა ადგილია: მთელი წლის მანძილზე ისინი ლოდთან მიდიან და მას ოქროს ფირფიტებით რთავენ. ლოდთან მისვლა კი მხოლოდ მამაკაცებისთვისაა ნებადართული.

## განსაკუთრებული მიდგომის შედეგი

კონექტიკუტის შტატის ქალაქ ნენვილის მოსამართლე ჯეკ მეი ქუჩაში მოძრაობის წესების დამრღვევ ავტომოყვარულებს ასე სჯის:

აძ აიძულებს საკუთარი ნეკროლოგის დაწერას;

ბძ მორგში მისვლას და საგზაო შემთხვევის დროს დაღუპული რომელიმე კაცის ცხედრის ნახვას;

გძ ადგილობრივ მეკუბოვეს მისთვის ცნობილი უბედური შემთხვევების შესახებ ესაუბროს, შემდგომ კი საუბრის შინაარსი მოსამართლეს მოუყვეს.

როგორც ამბობენ, მოსამართლე მეის აღმზრდელობით სისტემას დადებითი შედეგი მოაქვს: ბოლო სამი წლის მანძილზე მას გზაზე მოძრაობის წესების ხელმეორედ დამრღვევთან შეხვედრამ არცერთხელ არ მოუწია. ამ ხნის განმავლობაში ავტოსატრანსპორტო შემთხვევათა რიცხვი ქალაქში განახევრდა.

## ცხოვრების არსი

თითქმის ყველა წეს-ჩვეულება, რაც ღვთიურთან იყო დაკავშირებული, გაუფასურდა მშრალი რაციონალიზაციისა და ტექნიკური პროგრესის გზაზე. მაგრამ, როგორც ირკვევა, მხოლოდ მოკაშკაშე გონება ვერ ხდის ადამიანს ბედნიერს, ვინაიდან იქმნება შეგრძნება, რომ სამყაროს არა აქვს სული, მოკლებულია იმ ჭეშმარიტებას, რომელიც დროს არ ექვემდებარება.

ცვლილებათა წყურვილი ხშირად იწყება ოცდაათი წლის შემდეგ, როდესაც ზრდასრული ადამიანი მიმართავს ეგზისტენციურ კითხვებს: „ეს არის ჩემი ცხოვრება? რა აზრი აქვს მას? რა არის ჩემთვის ნამდვილად მნიშვნელოვანი?“

როგორც ფსიქოლოგები ამტკიცებენ, ამ ასაკში ადამიანები იწყებენ იმის შეგრძნებას, რომ რწმენა – ეს სულიერი კაპიტალია. ადამიანს აქვს რწმენა, ვინაიდან იგი გადის საკუთარი თავის მიღმა, მას ესაჭიროება საყრდენი ზეცაში, მეტაფიზიკურ სახურავს ზემოთ, ღმერთი, ან უზენაესი, ან ყოფის საფუძველი, ან მუდმივი სუბსტანცია, ან ერთიანი სული, ან სიცარიელე, ან ნირვანა, ან წმინდა გონება, ან პრანა, ან აურა რომ ჰქვია.



ევოლუციური ფსიქოლოგიის თვალსაზრისით, რელიგია – ესაა გაერთიანების ერთადერთი ფორმა, რომელმაც შეიძლება შეზღუდოს ეგოიზმი. რელიგიური ფსიქოლოგია, ახალგაზრდა მეცნიერება, ასახელებს რწმენის ერთ-ერთ ევოლუციურ-ბიოლოგიურ უპირატესობას: მორწმუნე უკეთართმევს თავს ყოველდღიური ცხოვრების საშიშროებებს სწორედ იმიტომ, რომ მას შეუძლია თავის შეზღუდვა.

## როცყალუყრი მოსვირინვება

თავიანთი მთავარი დღესასწაულის ტიკმატას დროს, მართლმადიდებელი ეთიოპიელები, მაცხოვრის მდინარე იორდანში მონათვლას აღნიშნავენ. ყველაზე დიდი დღესასწაული ქალაქებში ადის-აბებაში, გონდარასა და ლალიბელში იმართება. მორწმუნეთათვის ამ უმნიშვნელოვანესი დღესასწაულის წინა ღამეს ისინი თეთრად ათენებენ, შუბლზე კი დროებით რიტუალურ ჯვარს ისვირინგებენ.



## შინაგანი წონასწორობა

იოგას ფილოსოფიის საფუძვლები ინდუიზმსა და ბუდიზმში უდევს. მედიტაციის დროს, რომელიც ინდოეთის ქალაქ ვარანასიში მდინარე განგის ნაპირას იოგი მზის ამოსვლისას მიმართავს, კაცი სულის გონების დაქვემდებარებიდან გამოყვანასა და საკუთარი „მეს“ საზღვრებს მიღმა გაყვანას ცდილობს.

## იპოვეს ადამისა და ევას ბაღი



ბრიტანელმა ბიოლოგმა მეცნიერებმა განაცხადეს, რომ შეძლეს, გამოეთვალათ „სამოთხის ბაღის“ ადგილსამყოფელი, სადაც ადამი და ევა ცხოვრობდნენ. ბიოლოგებმა, გამოიყენეს რა უახლესი ტექნოლოგიები, გამოიკვლიეს ვაშლის DNK. ისინი მივიდნენ დასკვნამდე, რომ დედამიწაზე პირველი საჭმელადვარგისი ვაშლი, შესაძლოა, გამოჩენილიყო ახლანდელი ყაზახეთის მაღალ მთიან რეგიონში, 2 კილომეტრზე მეტ სიმაღლეზე ჩინეთის საზღვრის მახლობლად.

## ცუხუნა კვარცხლბეკზე შემოსვეს

ათგოჭიანი დედა ღორის ძეგლი ააგეს ტიუმენის ოლქის იშიმის მმაჩის ბიუროსთან. ბრინჯაოს ღორი ერთ ტონას იწონის, გოჭები – 30-დან 70 კილოგრამამდე. მალე კომპოზიციას დაემატება 2-ტონიანი ტახიც.

ადგილობრივი ხელისუფლების მოსაზრებით, ძეგლის ნახვა, ოჯახურ კეთილდღეობას რომ გამოხატავს, ტრადიციულად იქცევა ახალი მექორწილეებისთვის.



## კუნძული ბინის ფასად

გერმანელი ცოლ-ქმარი მანფრედ და ინგა ფოიგტები ბალტიის ზღვაში ჰყიდიან პატარა კუნძულ ტოლლეუს. დაახლოებით 2-ჰექტარიან ამ პირად საკუთრებაში ისინი 150 ათას ევროს მოითხოვენ (სწორედ ამდენი ღირს ბინა ჰამბურგის გარეუბანში). კუნძულზე ბუდობენ გედები, იზრდება მუხები, პოკპიტი და წიფელი. თუმცა აქ აკრძალულია ყოველგვარი მშენებლობა.

## აბა, გაშიშვლდით!



იტალიური ქალაქის ვარალოს ხელისუფლებამ აკრძალა ისეთი საბანაო კოსტიუმით ბანაობა, სხეულს მთლიანად რომ ფარავს. ახლა „ჩაცმულ“ მუსულმან ქალებს აქ ბანაობისთვის დიდი ჯარიმა მოელით. როგორც ამბობენ, ევროპელებს მობეზრდათ ტოლერანტობა.

ჯარიმად დაწესებულია 500 ევრო. აკრძალვა პირველ რიგში ეხება მუსულმან ქალებს. ისინი პლაჟებზე ატარებენ ბურკინებს, რომელიც შედგება ტუნიკის, საბანაო კოსტიუმისა და ტყავის შარვლისგან. ქალაქის მერს ჯანლუკი ბუონანოს ეს არაჰიგიენურად მიაჩნია, ხოლო ასე ბანაობა – მიუღებლად. მისი თქმით, თუკი ევროპელი ქალი ბიკინით იცურავებს რომელიმე მუსულმანური ქვეყნის აუზში, მას მოელის ციხე, დეპორტაცია და თავის მოკვეთაც კი. ჩვენ კი მხოლოდ ბურკინებს ვკრძალავთ.

## 20 წელი მიწისქვეშეთში

სწორედ ამდენი ხანია, რაც უგზოობას თავისებურად ებრძვის 75 წლის პენსიონერი ლებტიანიდან. ლეონიდ მულიარჩიკი მარტოდმარტო თხრის მეტროს. გვირაბის მშენებლობას ახმარს მთელ თავის პენსიას. მან უკვე მიწის ზევით ამოიტანა 200 სატვირთო მანქანისთვის სამყოფი გრუნტი, გათხარა 300 მეტრი, თუმცა გვირაბის ბოლოს შუქი ჯერ არ ჩანს.



## ჩამოდით მაღალი ქუსლებიდან

ბრიტანეთის პროფკავშირების კონგრესმა მოითხოვა, ქალებს აეკრძალოთ სამსახურში მაღალქუსლიანი ფეხსაცმლით სიარული. პროფკავშირების მონაცემებით, ბრიტანელი ქალები სისტემატურად იღებენ ტრავმებს ფეხის გადაბრუნების ან ოფისებში წაქცევის დროს.

ნისლიანი ალბიონის ქალბატონები ამის გამო აცდენენ 2 მილიონამდე კაც-დღეს.

## მკვლელი ჟურნალისტი



ბრაზილიელი ტელეწამყვანი უოლეს სოუზა, შესაძლოა, დაკავშირებულია იმ მკვლელობების ორგანიზაციასთან, რომლებზეც მაყურებელს მოუთხრობს თავის არხზე CARAL LIVER. ასეთ დასკვნამდე მივიდა პოლიცია, – მკვლელობების სულ ცოტა 9 ეპიზოდი – მოწყობილი იყო სოუზასა და მისი ვაჟიშვილის მიერ. დაპატიმრებულია 15 კაცი.

## კალათბურთი

# გმადლობთ, ბიჭებო!

**ძალიან კი გვეშინოდა, თამაშამდე ერთი დღით ადრე მომქანცველი მგზავრობა დამატებით პრობლემებს შეგვიქმნისო, მაგრამ თურმე კარგად არ გვცოდნია „ჯვაროსანთა“ შესაძლებლობები – სერბი მწვრთნელის იგორ კოკოშკოვის შეგირდებმა თითქმის ყველა რგოლში დაჯაბნეს მეტოქე, მათ შორის ფარიდან ასხლეტილი ბურთის მოხსნასა და სამქულიანებში, სოლიდური მარაგით იმარჯვეს და თავაწეულებმა დატოვეს მოგილიოვის სპორტის სასახლე. ევროპის ჩემპიონატის „ა“ დივიზიონამდე ერთი ნაბიჯის გადადგმაღაა საჭირო – ხვალ ელიტაში უნდა ჩავუშვათ ღუზა!**



**„ბ“ დივიზიონის პლეი-ოფის პირველი მატჩი**

**ბელარუსი – საქართველო 75:89**

**(17:23, 15:22, 22:19, 21:25)**

**ბელარუსი:** ულიანკო – 18 ქულა, 2 მოხსნა, 2 პასი, მეშჩერიაკოვი – 17 ქულა, 8 მოხსნა, 1 პასი, კანდრუსევიჩი – 15 ქულა, 3 მოხსნა, 2 პასი, კორშუკი – 13 ქულა, 3 მოხსნა, 2 პასი, კუდრიავცევი – 5 ქულა, 3 მოხსნა, 2 პასი, პუსტოგვარი – 3 ქულა, 1 მოხსნა, ჩარიკოვი – 2 ქულა, 1 მოხსნა, 4 პასი, კოჟენეცი – 2 ქულა, 2 მოხსნა, 1 პასი, კუზმინი – 2 პასი, ალექსეევი – 1 მოხსნა, განდინი.

**საქართველო:** სანიკიძე – 19 ქულა, 11 მოხსნა 1 პასი, ფაჩულია – 19 ქულა, 8 მოხსნა, 3 პასი, ვლადიმერ ბოისა – 18 ქულა, 3 მოხსნა, 1 პასი, ელისი – 10 ქულა, 2 მოხსნა, 4 პასი, ცქიტიშვილი – 9 ქულა, 1მოხსნა, ტუღუში – 6 ქულა, 2 მოხსნა, გამყრელიძე – 5 ქულა, 3 მოხსნა, 2 პასი, ცინცაძე – 3 ქულა, 4 მოხსნა, 5 პასი, შერმადინი, ანატოლი ბოისა.

მასპინძელთა თავკაცი იხტიბარს არ იტეხს და პირველი რაუნდის შემდეგ აცხადებს – ჩვენი გუნდი სტუმრად უკეთ თამაშობს და თბილისში სასურველ შედეგს მივაღწევთო. ვიმედოვნებთ, ხვალინდელი შეხვედრის შემდეგ მას ტონი შეეცვლება. საამისოდ კი აუცილებელია ჩვენი თანამემამულენი ისეთივე საბრძოლო განწყობით გამოვიდნენ სარბიელზე, როგორც შაბათს.

ამჯერად შეგნებულად არ ვამახვილებთ ყურადღებას რომელიმე კალათბურთელის პირად მონაგარზე – ამ დღეს ბელარუსული აუდიტორიის წინაშე ერთ მუშტად შეკრული საქართველოს ეროვნული ნაკრები წარსდგა, რომლის თითოეულმა წევრმაც, რომ იტყვიან, ძვლები დატოვა ფრონტის ხაზზე.

ამისთვის გმადლობთ, ბიჭებო!

## წყალბურთი

# ჩომახიძის ფაქტორი

**შვეიცარიულ ლუგანოში გასულ უქმეებზე დაიწყო წყალბურთელ ვაჟთა ევროპის B ჩემპიონატი, რომელშიც 12 გუნდი მონაწილეობს. მათგან 6 საუკეთესო გაისად უმაღლეს ეშელონში გადასასვლელად იბრძოლებს.**

A ჯგუფში თამაშობენ ბელარუსი, საფრანგეთი, სლოვენია, უკრაინა, თურქეთი და დანია, ხოლო B ჯგუფში ერთმანეთს დაუპირისპირდნენ დიდი ბრიტანეთი, ჰოლანდია, საქართველო, შვეიცარია, პოლონეთი და მალტა. ქართველმა წყალბურთელებმა ჩემპიონატში მონაწილეობის უფლება მალტის საკვალიფიკაციო ტურნირზე მეორე ადგილის დაკავებით მოიპოვეს. ლუგანოში დებიუტანტებს, ცხადია, სერიოზულ მეტოქედ არავინ მიიჩნევდა, მაგრამ სახელოვანი წყალბურთელით – სიდნეისა და ათენის ოლიმპიადების პრიზიორით, ორგზის ევროპის საუკეთესო მოთამაშით, მსოფლიოს თასის მფლობელი რევაზ ჩომახიძით გაძლიერებულმა საქართველოს ნაკრებმა ყველა გააოცა – ასპარეზობის სტარტზე ორი მეტოქე დაამარცხა: პოლონეთს გამანადგურებელი ანგარიშით – 16:3 (ბურთები გაიტანეს: რევაზ ჩომახიძემ (4), ზურაბ რურუამ (4), კონსტანტინე გეგელაშვილმა (2), გურამ კოტარიამ (2), მიხეილ ბალათურიამ (2); თითო – გალაქტიონ ლაითაძემ, ბექა ქენქაძემ) მოუგო, ხოლო ტურნირის ფავორიტ დიდბრიტანელებს 10:9 (გოლები – ჩომახიძე, რურუა, ლაითაძე, ქენქაძე 2-2, თითო – ბალათურია, ტატო ნიკოლეიშვილი) სძლია.



**გაუწყებთ ჩემპიონატის პირველი ორი დღის შედეგებს:**

**A ჯგუფი:** ბელარუსი – დანია 17:3, უკრაინა – სლოვენია 10:12, თურქეთი-საფრანგეთი 5:10, დანია – უკრაინა 8:10, თურქეთი – ბელარუსი 18:8, საფრანგეთი–სლოვენია 13:12.

**B ჯგუფი.** პოლონეთი – საქართველო 3:16, ჰოლანდია – დიდი ბრიტანეთი 7:8, შვეიცარია – მალტა 4:6, დიდი ბრიტანეთი – საქართველო 9:10, მალტა – პოლონეთი 8:7, ჰოლანდია – შვეიცარია 22:5.

**გუშინ:** მალტა – საქართველო 12-10.

## ფეხბურთი

# დაცემა გრძელდება

## საქართველო – იტალია 0:2 (0:0)

**მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის მატჩი.**

**საქართველო:** ლომაია, ლობჟანიძე, კალაძე, ხიზანიშვილი, სანაია, კობიაშვილი, რაზმაძე (ცქიტიშვილი), ხმალაძე, ანანიძე (ვაწაძე), ყენია, დვალიშვილი.

**იტალია:** ბუფონი, ძამბროტა, კანავარო, კიელინი, კრიშიტო, კამორანეზი (სანტონი), პირლო, პალომბო, მარკიონი (დაგოსტინო), იაკინტა, როსი (კვალიარელა).

**მსაჯი:** მარტინ ჰორსკი (პოლონეთი).

**გოლები:** კალაძე (57-ე, 67-ე წუთები, საკუთარ კარში).

**გაფრთხილება:** ხმალაძე, კობიაშვილი; კრიშიტო.

მატჩის დღეს ვწერდით, რომ გვაოცებს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის თავკაცთა ოპტიმიზმი, რომლებიცთავს იმშვიდებენ, იტალიელებთან ყოველთვის კარგად ვთამაშობთო.

დარწმუნებულნი ვართ, ახალკაცი და მისი კანტორის წევრები ამჯერადაც შეუვალნი იქნებიან და ყველაფერს უილბლობას, უფრო სწორად კალაძის პირად დრამას დააბრალებენ.

რა თქმა უნდა, რაღაც დოზით არც უამისობაა, მაგრამ, დაგვეთანხმებით, საქართველოს ეროვნული ნაკრების უსუსურობის მიზეზები გაცილებით ღრმადაა საძებნი.

უპირველესად, რადგან უკვე ვახსენეთ, მოდით, „ჯვაროსანთა“ კაპიტნის თემა ამოვწუროთ. მოგეხსენებათ, ჯერ მძიმე ტრავმისა და ოპერაციის, ხოლო შემდეგ სარეაბილიტაციო პერიოდის, ვაჟიშვილის შეძენისა და შვებულების გამო იგი რვა თვის განმავლობაში სარბიელზე არ გამოჩენილა. ასეთ შემთხვევაში შეხვედრის დაწყებამდე მწვრთნელი მოთამაშეს ეკითხება, რამდენად მზად არის მინდორზე გასასვლელად და უშუალო მოვალეობის შესასრულებლად. თუ როგორი კონდიციები აქვს აკრეფილი „მილანის“ პრიმადონას, შესვენებამდე რამდენიმე წუთით ადრევე გამომზეურდა, როცა უწყინარ სიტუაციაში ჩააბარა ბურთი მეტოქეს და მხოლოდ პარტნიორთა თავგანწირვამ გვიხსნა ხიფათისგან.

თუ ამ ეპიზოდამდე კუპერის შეგირდები, მათ შორის გუნდის დებიუტანტი ანანიძე, ღირსეულად გამოიყურებოდნენ და შესუსტებული შემადგენლობით, უჯიგროდ მოასპარეზე „სკუადრა აძურას“ მაქსიმალურად უზღუდავდნენ სივრცეებს, შემდგომში, განსაკუთრებით მეორე ტაიმში, უკვე დაღლა დაეტყოთ და ლომაიასთან საგანგაშო მომენტებმაც იმატა (მარტო იაკინტას სამჯერ შეეძლო ანგარიშის გახსნა). ასე რომ, კალაძის „იალიშები“ რომ არა, ყველაფერი იქით მიდიოდა, რომ სტუმრები, ადრე თუ გვიან, მაინც მიაღწევდნენ საწადელს.



ასეთი მეტამორფოზა, ვფიქრობთ, გარკვეულწილად, „დინამოს“ სტადიონის თანამშრომელთა „სველმა“ გადაწყვეტილებამაც განაპირობა, რომლებმაც ბრძოლის დაწყების წინ მინდორი მორწყეს და თანამემამულეებს დამატებითი პრობლემები შეუქმნეს. ვგულისხმობთ იმ ფაქტს, რომ იმ ქვეყნებში, სადაც ქართველი ლეგიონერები თამაშობენ, სეზონი ახალი დაწყებულია, რის გამოც ბიჭები შორს არიან ოპტიმალური ფუნქციონალური ფორმისგან, დამძიმებულ გრუნტზე სწრაფად გადაადგილებას კი მხოლოდ პირველ ნახევარში ახერხებდნენ.

ბუნებრივია, ის, რაც ზემოთ წაიკითხეთ, აისბერგის ზედაპირია, უხილავ ნაწილზე საუბარი კი, მოდით, შესარჩევი რაუნდის ბოლოსთვის გადავდოთ.

გაუწყებთ შაბათს გამართული შეხვედრების შედეგებს.

### ევროპა

**I ჯგუფი.** უნგრეთი – შვედეთი 1:2, დანია – პორტუგალია 1:1.

დანია – 17, უნგრეთი – 13, შვედეთი – 12, პორტუგალია – 10, ალბანეთი – 6, მალტა – 1 ქულა.

**ხვალ ითამაშებენ:** უნგრეთი – პორტუგალია, ალბანეთი – დანია, მალტა – შვედეთი.

**II ჯგუფი.** შვეიცარია – საბერძნეთი 2:0, ისრაელი – ლატვია 0:1, მოლდოვა – ლუქსემბურგი 0:0.

შვეიცარია – 16, საბერძნეთი, ლატვია – 13-13, ისრაელი – 9, ლუქსემბურგი – 5, მოლდოვა – 2 ქულა.

**ხვალ ითამაშებენ:** ლატვია – შვეიცარია, მოლდოვა – საბერძნეთი, ისრაელი – ლუქსემბურგი.

**III ჯგუფი.** პოლონეთი – ჩრდილოეთ ირლანდია 1:1, სლოვაკეთი – ჩეხეთი 2:2.

სლოვაკეთი – 16, ჩრდილოეთ ირლანდია – 14, პოლონეთი, სლოვენია – 11-11, ჩეხეთი – 9, სან-მარინო – 0 ქულა.

**ხვალ ითამაშებენ:** სლოვენია – პოლონეთი, ჩრდილოეთ ირლანდია – სლოვაკეთი, ჩეხეთი – სან-მარინო.



**IV ჯგუფი.** აზერბაიჯანი – ფინეთი 1:2, რუსეთი – ლიხტენშტეინი 3:0.

გერმანია – 19, რუსეთი – 18, ფინეთი – 13, უელსი – 9, აზერბაიჯანი, ლიხტენშტეინი – 1-1 ქულა.

**ხვალ ითამაშებენ:** გერმანია – აზერბაიჯანი, უელსი – რუსეთი, ლიხტენშტეინი – ფინეთი.

**V ჯგუფი.** ესპანეთი – ბელგია 5:0, სომხეთი – ბოსნია 0:2, თურქეთი – ესტონეთი 4:2.

ესპანეთი – 21, ბოსნია – 15, თურქეთი – 11, ბელგია – 7, ესტონეთი – 5, სომხეთი – 1 ქულა.

**ხვალ ითამაშებენ:** ესპანეთი – ესტონეთი, სომხეთი – ბელგია, ბოსნია – თურქეთი.

**VI ჯგუფი.** ხორვატეთი – ბელარუსი 1:0, უკრაინა – ანდორა 5:0.

ინგლისი – 21, ხორვატეთი – 17, უკრაინა – 14, ბელარუსი – 9, ყაზახეთი – 3, ანდორა – 0 ქულა.

**ხვალ ითამაშებენ:** ინგლისი – ხორვატეთი, ბელარუსი – უკრაინა, ანდორა – ყაზახეთი.

**VII ჯგუფი.** საფრანგეთი – რუმინეთი 1:1, ავსტრია – ფარერები 3:1.

სერბეთი – 18, საფრანგეთი – 14, ავსტრია – 10, ლიტვა – 9, რუმინეთი – 8, ფარერები – 1 ქულა.

**ხვალ ითამაშებენ:** სერბეთი – საფრანგეთი, რუმინეთი – ავსტრია, ფარერები – ლიტვა.

**VIII ჯგუფი.** საქართველო – იტალია 0:2, ბულგარეთი – ჩერნოგორია 4:1, კვიპროსი – ირლანდია 1:2.

იტალია – 17, ირლანდია – 16, ბულგარეთი – 11, კვიპროსი – 5, ჩერნოგორია – 4, საქართველო – 3 ქულა.

**ხვალ ითამაშებენ:** იტალია – ბულგარეთი, ჩერნოგორია – კვიპროსი.

**IX ჯგუფი.** შოტლანდია – მაკედონია 2:0, ისლანდია – ნორვეგია 1:1.

ჰოლანდია – 21, შოტლანდია – 10, ნორვეგია, მაკედონია – 7-7, ისლანდია – 5 ქულა.

**ხვალ ითამაშებენ:** შოტლანდია – ჰოლანდია, ნორვეგია – მაკედონია.

### სამხრეთ ამერიკა

**XV ტური.** პერუ – ურუგვაი 1:0, არგენტინა – ბრაზილია 1:3, კოლუმბია – ეკვადორი 2:0, ჩილე – ვენესუელა 2:2, პარაგვაი – ბოლივია 1:0.

ბრაზილია – 30, ჩილე, პარაგვაი – 27-27, არგენტინა – 22, კოლუმბია, ეკვადორი – 20-20, ურუგვაი, ვენესუელა – 18-18, ბოლივია – 12, პერუ – 10 ქულა.

**ხვალ ითამაშებენ:** პარაგვაი – არგენტინა, ბრაზილია – ჩილე, ურუგვაი – კოლუმბია, ბოლივია – ეკვადორი, ვენესუელა – პერუ.

ჭადრაკი

# ფიქლობის ორი ტური



**გასულ უქმეებზე ნინბოში (ჩინეთი) მოჭადრაკე ქალთა გუნდურ მსოფლიოს ჩემპიონატზე მეოთხე-მეხუთე ტურების პარტიები გათამაშდა.**

მეოთხე ტურში საქართველოს ნაკრებმა ინდოეთს სძლია 3:1 (მაია ჩიბურდანიძე – პარიკა დრონოვალი 0,5;0,5, ნანა ძაგნიძე – ეიშა კარავადე 0,5:0,5, ლელა ჯავახიშვილი – მერი გომესი 1:0, სოფიკო ხუხაშვილი – ნადი კრუტიკა 1:0), აშშ – რუსეთი 1:3, ჩინეთი (1) – სომხეთი 3,5:0,5, პოლონეთი – უკრაინა 2:2, ვიეტნამი – ჩინეთი (2) 1:3.

მეხუთე ტური: სომხეთი – საქართველო 2,5:1,5 (ელინა დანიელიანი – ნანა ძაგნიძე 0:1, ლილით მკრტიჩიანი – ლელა ჯავახიშვილი 1:0, ლილით გალოიანი – სოფიკო ხუხაშვილი 1:0, ნელი აგინიანი – მაია ლომინეიშვილი 0,5:0,5), ჩინეთი (2) – აშშ 2,5:1,5, უკრაინა – ვიეტნამი 3,5:0,5, ინდოეთი – პოლონეთი 1:3, რუსეთი – ჩინეთი (1) 2:2.

გუშინ საქართველოს ნაკრებმა რუსეთთანაც 1,5:2,5 წააგო.

კრივი

# ამჯერად – მერვედფინალში

**მილანში გრძელდება მოკრივეთა მსოფლიოს ჩემპიონატი. 69 კილოგრამი წონითი კატეგორიის მერვედფინალში გავიდა კახაბერ ჟვანია, რომელსაც ბელარუსი მაჰამად ნარუძინაო არ გამოუცხადდა. მისი მომდევნო მეტოქე ირლანდიელი უილიამ მაკლუგლინი იქნება.** 81 კილოში რევაზ ქარელიშვილმა ფინელი ემელი კატაისტო დაამარცხა – 10:4. სამწუხაროდ, შეჯიბრებას გამოეთიშნენ გიორგი კილანავა (54) და იროდიონ ონაშვილი (57), რომლებიც, შესაბამისად, უნგრელ კრისტიან ლაკატოშთან და სერბ ბრანიმირ სტანკოვიჩთან დამარცხდნენ.



სახალხო დღესასწაული

# ჩარგალში, ვაჟაობაზე

**თითქმის ნახევარი საუკუნის წინათ – 1961 წელს დიდი ქართველი მგოსნის ვაჟა-ფშაველას დაბადებიდან 100 წლისთავი ზეიმით აღინიშნა და საფუძველი ჩაეყარა სახალხო დღესასწაულს „ვაჟაობას“, რომელიც დროთა განმავლობაში თანდათან მინელდა. მეოთხე წელიწადია, ამ აღდგენილ ღონისძიებას მეთაურობს დიდი ვაჟას შთამომავალი, კომპანია „ოლიმპიური ვარსკვლავის“ პრეზიდენტი ზაზა რაზიკაშვილი.**



გასულ შაბათს უამრავი სტუმარი ჰყავდა ჩარგალს „ქართული ლექსის საღამოზე“, მათ შორის – უცხოელებიც. სცენაზე ერთმანეთს ცვლიდნენ ფოლკლორული ანსამბლები, მხატვრული კითხვის ოსტატები. უამრავი მაყურებელი მიიზიდა ქართულმა ჭიდაობამ. წონითი კატეგორიების მიხედვით პირველ ადგილებზე გავიდნენ დუშელი ზურაბ ნარიმანაშვილი, მცხეთელები – თემურ ოქრუაშვილი, დავით ოსიაშვილი და გიორგი ცოციაშვილი. შვიდკილომეტრიანი მარულა ბარისახოელმა გიორგი არაბულმა მოიგო.

ღონისძიების ერთ-ერთმა ორგანიზატორმა ლელა რაზიკაშვილმა განაცხადა, რომ აქედანვე მონდომებით ემზადებიან ვაჟა-ფშაველას 150 წლისთავისთვის, რომელიც 2011 წელს აღინიშნება.

**ვაჟა დანელია**

**სურათზე: ფოლკლორული ანსამბლი „ანანური“.**



ინტერნეტიდან

## აბრამოვიჩს ფეხბურთელების შეძენა აუკრძალეს

**ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის – ფიფას – დავების კომიტეტმა აუკრძალა საფეხბურთო კლუბ „ჩელსის“ მეპატრონეს რომან აბრამოვიჩს 2010 წლის განმავლობაში ახალი ფეხბურთელების შეძენა-რეგისტრაცია. ყოველივე ეს კი გამოიწვია ფიფაში ფრანგული კლუბის „ლანსის“ საჩივარმა „ჩელსის“ მიერ ახალგაზრდა ფეხბურთელის გაელია კაკუტას შეძენის გამო.**



„ლანსის“ ხელმძღვანელობამ „არისტოკრატები“ დაადანაშაულა იმაში, რომ მან აიძულა ფეხბურთელი, გაეწყვიტა შეთანხმება ფრანგულ კლუბთან, ფიფას კომიტეტმა კი ფრანგების მხარი დაიჭირა.

ამიტომ აუკრძალეს აბრამოვიჩს ორი სატრანსფერო ფანჯრის დროს ახალი ფეხბურთელის შეძენა, რაც იმას ნიშნავს, რომ კლუბი 2011 წლამდე ვერ შეივსება ახალი მოთამაშეებით. ამასთან „ჩელსი“ დაჯარიმდა 680 ათასი გირვანქით, მან „ლანსს“ უნდა გადაუხადოს კომპენსაციისთვის 113 ათასი გირვანქა.

„ჩელსის“ შეუძლია ამ განაჩენის გაპროტესტება.

## მასას ფიზიკელა შეცვლის

**ავტოშეჯიბრების „ფორმულა-1“ მსოფლიო ჩემპიონატზე „უნგრეთის გრან-პრის“ გათამაშების დროს ტრავმირებულ ფელიპე მასას, რომელსაც ჯერჯერობით აუკრძალეს გუნდში დაბრუნება, „ფერარიში“ შეცვლის „ფორს ინდოეთის“ პილოტი ჯანკარლო ფიზიკელა.**



ის ფინელი კიმი რაიკონენის პარტნიორად „ფერარიში“ უკვე 13 სექტემბერს გამოვა მონცაში. როგორც ამბობენ, „ფერარის“ ბოლიდის მართვა იყო ფიზიკელას დიდი ოცნება.

## დაემხო „ბებერი“ რეკორდი

**ბრიუსელში, მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციის სერიის „ოქროს ლიგის“ ტურნირზე ბევრი მნიშვნელოვანი შედეგი აჩვენეს. მათ შორის არ შეიძლება, არ აღვნიშნოთ 100 მეტრზე სირბილში მსოფლიოს ექს-რეკორდსმენის, იამაიკელი პაუელის მიერ ნაჩვენები დრო – 9,90 წამი; კვლავინდებურად 200 მეტრზე სირბილში პირველობა ჩვეულებისამებრ არავის დაუთმო სამგზის ოლიმპიურმა და მსოფლიო ჩემპიონმა უსეინ ბოლტმა – 19,57. იგივე უნდა ვთქვათ ოქროს ჯეკპოტისთვის მებრძოლ ეთიოპიელ ბეკელეზე – ის კვლავ პირველი იყო 5000 მეტრზე სირბილში – 12.55.31.**

მაგრამ ყველაზე გამორჩეული იყო ესტაფეტა 4 X1500. აქ კენიის ნაკრებმა ბივოტას, გატომბას, რონისა და ჩოგეს შემადგენლობით გაიმარჯვა და მსოფლიო რეკორდიც დაამყარა – 14.36.23. ამით კენიელებმა დაამხეს ყველაზე „ბებერი“ მსოფლიო მიღწევა – 14.38.80, რომელიც 1977 წლის 17 აგვისტოდან ეკუთვნოდა ყოფილი გფრ-ის გუნდს.

## კლიჩკო მეხანძრეებს ეპატიჟება

**ლოს-ანჯელესში ღია საწვრთნელი ვარჯიში გამართა მსოფლიო ჩემპიონმა მძიმე წონაში, უკრაინელმა ვიტალი კლიჩკომ. მისი მატჩი ამერიკელ კრის არეოლისთან 26 სექტემბერს ლოს-ანჯელესში უნდა გაიმართოს. კლიჩკოს თქმით – „სპეციალისტები ღირსეულად ვერ აფასებენ კრისის სიძლიერეს. მას მძლავრი დარტყმა და გაბედული გული აქვს, როგორც მექსიკელი მოკრივეების უმრავლესობას.**



ბრძოლა 12 რაუნდი უნდა გაგრძელდეს, თუმცა ის, შესაძლოა, უფრო ადრე დასრულდეს, რადგან მე მასზე ძლიერი ვარ“ – თქვა კლიჩკომ. აღსანიშნავია, რომ კლიჩკომ ამ შეხვედრაზე მიიწვია 100 მეხანძრე, მამაცურად რომ ებრძოდნენ ლოს-ანჯელესის ირგვლივ გაძლიერებულ ხანძარს.

## ბრძოლებს კინო ამჯობინა

**წესების გარეშე ბრძოლების ყველაზე ლამაზმა მონაწილემ ედიტ ლაზელმა ეს სახეობა კინომსახიობის კარიერისთვის მიატოვა. ეს მაშინ, როდესაც ბევრნი ამ შეჯიბრებებზე სწორედ ამ მკერდსავსე ლამაზმანის სანახავად დადიოდნენ, რაუნდების ნომრები რომ დაეჭირა. ნუთუ ამის შემდეგ კვებეკის ამ სექსუალური მოქალაქის გამო მისი თაყვანისმცემლებიც მიატოვებენ ბრძოლებს წესების გარეშე? მწუხარების გამო სმას ხომ არ დაიწყებენ?**

წასვლის გადაწყვეტილება 25 წლის ლაზმანმა მაშინ მიიღო, როდესაც მონაწილეობა არ მიიღო (თუ მიაღებინეს) VFC-100-ში. დადის ხმები, რომ ეს ალკოჰოლისადმი მიძალებით არის გამოწვეული. ის კი ყველაფერს ავადმყოფობას აბრალებს. ჯანდაბას, ასეთ „წვრილმანებს“ ნუ გამოვეკიდებით. ამბობენ, ედიტ ლაზელი სპორტიდან წასვლით ბევრს არაფერს დაკარგავსო (იქნებ პირიქითაც მოხდესო), აი, ამ სპორტის ჩინოვნიკები კი ალბათ მწარედ ინანებენო.



Thames Steel UK Limited

**საჯარო შეტყობინება**

**სს „ქართული ფოლადისა“ და სს „თუჯი XXI“-ის აქციებთან დაკავშირებით**

**„თემზ სთილ იუ-ქეი ლიმითედის“ საკუთრებაშია შპს „ენერგია და ინდუსტრია კომპლექსის“ წილის 99 პროცენტი.**

**შპს „ენერგია და ინდუსტრია კომპლექსი“ ფლობს სს „ქართული ფოლადის“ აქციათა 100 პროცენტს და სს „თუჯი XXI“-ის აქციათა 83,3 პროცენტს.**

წინამდებარე განცხადებით ვაცნობებთ საზოგადოებას, რომ შპს „ენერგია და ინდუსტრია კომპლექსის“ წესდების თანახმად, მისი დირექტორი არ არის უფლებამოსილი შპს „ენერგია და ინდუსტრია კომპლექსის“ პარტნიორთა კრების თანხმობის გარეშე გაყიდოს შპს „ენერგია და ინდუსტრია კომპლექსის“ კუთვნილი აქციები ნებისმიერ სხვა კომპანიაში, სს „ქართული ფოლადისა“ და სს „თუჯი XXI“-ის ჩათვლით. „თემზ სთილ იუ-ქეი ლიმითედს“, შპს „ენერგია და ინდუსტრია კომპლექსის“ 99 პროცენტი წილის მფლობელ პარტნიორს, არ განუცხადებია თანხმობა სს „ქართული ფოლადისა“ და სს „თუჯი XXI“-ის აქციების გაყიდვასთან დაკავშირებით.

აქვე ვაცნობებთ საზოგადოებას, რომ ნებისმიერი პირი, რომელიც მოქმედებს როგორც შპს „ენერგია და ინდუსტრია კომპლექსის“ დირექტორი ან წარმომადგენელი, რომელიც შეეცდება გაყიდოს შპს „ენერგია და ინდუსტრია კომპლექსის“ კუთვნილი აქციები სს „ქართულ ფოლადსა“ ან სს „თუჯი XXI“-ში, სინამდვილეში არ არის უფლებამოსილი აღნიშნულის განხორციელებაზე, ვინაიდან „თემზ სთილ იუ-ქეი ლიმითედს“, როგორც შპს „ენერგია და ინდუსტრია კომპლექსის“ 99 პროცენტი წილის მესაკუთრეს, არ განუცხადებია თანხმობა და არ არის თანახმა ამგვარ გაყიდვაზე.

წინამდებარე შეტყობინების უგულებელყოფით ნებისმიერი პირის ქმედება, რომელიც მიმართულია სს „ქართულ ფოლადსა“ და სს „თუჯი XXI“-ში შპს „ენერგია და ინდუსტრია კომპლექსის“ კუთვნილი აქციების ყიდვისაკენ, გამოიწვევს მისთვის კანონით გათვალისწინებული სრული პასუხისმგებლობის დაკისრებას. კერძოდ, ნებისმიერი პირი, რომელიც შეიძენს აღნიშნულ აქციებს, კანონის საფუძველზე არ ჩაითვლება კეთილსინდისიერ შემძენად და გარიგება გაბათილდება, ვინაიდან წინამდებარე შეტყობინებით, საჯაროდ არის ცნობილი, რომ შპს „ენერგია და ინდუსტრია კომპლექსის“ დირექტორის ხელმძღვანელობის უფლებამოსილება შეზღუდულია და ნებისმიერი ამგვარი ნასყიდობა არ არის განხორციელებული სათანადო უფლებამოსილების საფუძველზე.

ნებისმიერი კითხვის არსებობის შემთხვევაში, გთხოვთ, დაუკავშირდეთ ენდრიუ ბეიკერს ნომერზე +423 237 6900 (ოფისი) ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით: Andrew.baker@miselva.li, ან ტომას ბლეიკს ნომერზე +995 95 912 370.

**ენდრიუ ბეიკერი**

**„თემზ სთილ იუ-ქეი ლიმითედის“ დირექტორი.**

Farringdon Place, 20 Farringdon Road, London EC1M 3 AP
C/o St. John's Square Secretaries Limited
Registered in England and Wales No. 5724450

## დღის კალენდარი

**8 სექტემბერი**



ამოდის 05.32
ჩადის 18.23



ამოდის 18.47
ჩადის 06.02

# წლის 251-ე დღე — ახალ წლამდე დარჩა 114 დღე.

## მე-14 შვიდეული სულთმოფენობიდან. სამშაბათი.

**ხსენება წმიდა მოწამეთა: ადრიანესი და ნატალიასი და მათთან ერთად 23 მოწამისა.**

წმიდა მოწამენი ადრიანე და ნატალია ვნებამდე ერთი წლით ადრესულ ახალგაზრდები შეუღლდნენ. ისინი ბეთანიის ნიკომიდიაში ცხოვრობდნენ იმპერატორ მაქსიმიანეს დროს. მათ ქრისტიანობას შესწირეს თავი.

### დაიბადნენ:

**1157 — რიჩარდ I ლომგული,** ინგლისის მეფე. გარდაიცვალა 1199 წელს.

**1474 — ლუდოვიკო არიოსტო,** იტალიელი პოეტი, აღორძინების ხანის უდიდესი წარმომადგენელი, მან ცხოვრების უდიდესი ნაწილი გაატარა ფერარის სასახლის კარზე. წერდა სატირებს ჰორაციუსის მიბაძვით. მისი კომედიებია: „სულების გამომხმობელი“, „მაჭანკალი“, პოემა: „შმაგი ორლანდო“. გარდაიცვალა ფერარში 1533 წელს.

**1804 — ედუარდ მორიკი,** გერმანელი პოეტი. გარდაიცვალა 1875 წელს.

**1812 — ნატალია გონჩაროვა,** პუშკინის ცოლი. გარდაიცვალა 1863 წელს.

**1909 — ვენერა ურუშაძე,** „ვეფხისტყაოსნის“ ინგლისურ ენაზე მთარგმნელი. გარდაიცვალა 1989 წელს.

**1925 — ოთარ ჭელიძე,** პოეტი.

### გარდაიცვალნენ:

**780 — ლეო IV,** ბიზანტიის იმპერატორი. დაიბადა 749 წელს.

**1895 — რიჰარდ შტრაუსი,** გერმანელი კომპოზიტორი და დირიჟორი. დაიბადა 1837 წელს.

**1991 — ბრედ დევისი,** ამერიკელი მსახიობი. დაიბადა 1950 წელს.

### მოვლენები:

**1380 წელი** — გაიმართა კულიკოვოს ბრძოლა. რუსთა ლაშქარმა დიმიტრი დონელის სარდლობით დაამარცხა მონღოლთა ჯარი.

**1522 წელი** — დასრულდა ფერნანდო მაგელანის პირველი მოგზაურობა მსოფლიოს გარშემო.

**1795 წელი** — აღა-მაჰმად-ხანმა თბილისში სოლანლუღი დაიკავა.

**1812 წელი** — ბოროდინოს ბრძოლა.

**1831 წელი** — ვილჰელმ IV დიდი ბრიტანეთის მეფე გახდა.

**1917 წელი** — სიონის ტაძარში ჩატარდა საქართველოს ახლად აღდგენილი ავტოკეფალური ეკლესიის კრება, რომელმაც აირჩია საქართველოს კათოლიკოს- პატრიარქი, განაწესა ეპისკოპოსები და მოაგვარა სხვა სასულიერო საკითხები (1917 წლის 8-17 სექტემბერიძ

**1941 წელი** — დაიწყო ლენინგრადის ბლოკადა.

**1943 წელი** — გერმანელებმა იტალიის ოკუპაცია მოახდინეს.

**1952 წელი** — გამოვიდა ერნესტ ჰემინგუეის წიგნი „მოხუცი და ზღვა“.

**1994 წელი** — რუსეთის არმიამ პოლონეთის ტერიტორია დატოვა.

**ღირსსახსოვარი დღეები:**

ჟურნალისტთა სოლიდარობის საერთაშორისო დღე;

წიგნიერების საერთაშორისო დღე;

ფაშიზმის მსხვერპლთა საერთაშორისო დღე.

**ავღანეთი** — ეროვნული ასამბლეის დაარსების დღე.

**გვინეა-ბისაუ** — დამოუკიდებლობის დღე.

**ჩრდილოეთი კორეა** — ეროვნული დღე.

**უგანდა** — რესპუბლიკის დღე.

## ინფორმაცია

# „გატაცებულები კი არა საზღვრის დამრღვევები ყოფილანო“

**სახელმწიფო საზღვრის ნებისმიერი დარღვევა სამხრეთ ოსეთსა და საქართველოს შორის სამხრეთ ოსეთის კანონმდებლობის მიხედვით დაისჯება“, — განაცხადა ჟენევის ფორმატში სამხრეთ ოსეთის დელეგაციის ხელმძღვანელმა მერაბ ჩიგოევმა ოსი კრიმინალების მიერ საქართველოს ოთხი მოქალაქის გატაცების კომენტირებისას.**

— ისევ და ისევ საქართველოს მედია ისტერიკაშია რაღაც გატაცების გამო, მაგრამ უკვე უნდა შეიგნონ, რომ სამხრეთ ოსეთსა და საქართველოს შორის სახელმწიფო საზღვარი არსებობს, რომლის დარღვევა სისხლის სამართლებრივი წესითაა დასჯადი, — განაცხადა ჩიგოევმა.

მისი თქმით, „6 სექტემბერს ე.წ. ლენინგორის რაიონის ტერიტორიაზე საქართველოს ოთხი მოქალაქე გადმოვიდა და საქონელიც შემორეკა, რის შემდეგ ისინი დაკავებულნი იქნენ ფედერალური უშიშროების სამსახურის თანამშრომლების მიერ. აღნიშნული პირები დაკითხეს და შესაბამისი პროცედურების ჩატარების შემდეგ გაათავისუფლეს საქონელთან ერთად. ვიმედოვნებ, რომ ჩვენ მოქალაქეებსაც შესაბამისად მოეპყრობიან“, — განაცხადა ჩიგოევმა.

**ᲮᲘ-ᲔᲘᲑ-ᲔᲜᲘ**

## ანეკდოტები

— მე ტელევიზორში მხოლოდ ცხოველების შესახებ გადაცემებს ვუყურებ.

— ჩვენს ტელეარხებზე ისედაც მხოლოდ ცხოველებზეა საუბარი გარდა „დისკოვერისა“, რომელიც მხეცებზე მოგვითხრობს.

* * *

თუ არსებობს შრომის მასწავლებელი, დასვენების მასწავლებელიც ხომ უნდა არსებობდეს?

* * *

— როგორ მომწყინდა ყველაფერი! მივატოვებ ამ ყველაფერს და ჯარში წავალ! — ამბობს გაცხარებული ბიჭი.

— სადაც არ უნდა წახვიდე, ნუ გეშინია, უთუოდ დაგელოდები! — ეუბნება გოგო.

— აი, სწორედ ამის მეშინია...



* * *

ფორუმზე გაჩაღებული მსჯელობა და კამათი განავლის ანალიზსა ჰგავს: ვიღაცამ მოისაქმა და წავიდა, სხვები კი სხედან და მსჯელობენ...

* * *

ორი ძროხა ერთმანეთში საუბრობს:

— იცი, ისეთი შთაბეჭდილება მექმნება, რომ ისინი მხოლოდ იმისთვის გვკვებავენ, რათა ჩვენი რძე დალიონ, მერე კი დაგვკლან და შეგვჭამონ.

— თავი დაანებე შეთქმულების თეორიას, თორემ მთელი ნახირი დაგცინებს.

* * *

სამართლიანობა — ეს ის არის, როდესაც ყველას თანაბარი წილი ხვდება, შენ კი ცოტა მეტი.

## ჩვენზე

# 1700-მდე შევამცირეთო

**აგვისტოს მიწურულს გაიმართა რუსეთ-მონღოლეთის ერთობლივი სამხედრო სწავლება „დარხან-2“ (აფსუს, როგორ გამოგვპარვია „დარხან-1“!ძ. ამ ღონისძიების ინსპექტირებისას რუსეთის არმიის გენერალური შტაბის უფროსმა ნიკოლოზ მაკაროვმა რამდენიმე მნიშვნელოვანი განცხადება გააკეთა, ერთ-ერთი — ქართულ რეგიონებზე.**

„ჩვენ შესაბამისობაში მოვიყვანეთ ჯარები — ახლა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში გვყავს მხლოდ 1700-1700 კაცი; გადავწყვიტეთ, რომ თანამედროვე შეიარაღებით ეს საკმარისია. ადრე იმათი შევსება იგეგმებოდა 4800-5000-მდე თითოეულ რეგიონში, თუმცა მერე ვიფიქრეთ, რომ 1700 სავსებით ადეკვატური ციფრია. აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში ოპერაციის დასრულების შემდეგ თავიდან იქ 4800-4800 კაცი გვყავდა“.

**„სრ“-ის შენიშვნა:** ეტყობა, დიდ რუსეთს გაუარა პატარა საქართველოდან თავდასხმის შიშმა — ხომ სულ ამტკიცებდნენ, ქართველები ახალი აგრესიისათვის ემზადებიანო; ჰოდა, ადგა და 1700-მდე შეამცირა ჯარისკაცთა რიცხვი...

**ლუკა გორგაძე**

## ჩვენებურზე

# ცოლი „ვია-გრას“ სოლისტზე გაცვალა?



**პოპულარული მოსკოველი „რუსულყელიანი“ ქართველი მომღერალი ვალერი მელაძე „კომსომოლსკაია პრავდას“ პირველ გვერდზე გაიჩითა (იხ. 26 აგვისტოს ნომერიძ. ასეთი პატივი იმიტომ ერგო, რომ რამდენიმე დღეში ოფიციალურად ეყრება ცოლს ირინას (ოცწლიანი ქორწინების შემდეგ!ძ, რომლისგანაც სამი ქალიშვილი ჰყავს.**

ვისი გულისთვის, არ ვიკითხოთ? განმეორებლად თავიდან ასახელებდნენ პროექტ „ვარსკვლავების ფაბრიკის“ 20 წლის მონაწილეს იულია პარშუტას, ვისთანაც ვალერი შარშან დუეტად მღეროდა, ოღონდ ეს არ დადასტურდა. მომღერლის რჩეული გამხდარა „ვია-გრას“ მზეთუნახავი სოლისტი ალბინა ჯანაბაევა.

... ახლა მოსკოვში ხელოვანთა და ეკრანისა და სპორტის ვარსკვლავთა რიგებს ნამდვილი „გაყრის“ ეპიდემია მოედო და ადვილად ვერც მიხვდები, ვისი ხე ვის ბაღშია. ქართველები რისი ქართველები არიან, თუ იქაც არ გაერივნენ. „ეპიდემიოლოგთა“ შორის ხშირად ასახელებენ თიკა კანდელაკს, ანტონ სიხარულიძეს, ვალერი მელაძეს...

**თამაზ ილმელი**

**178-ე საჯარო სკოლა აცხადებს კონკურსს სკოლის ბალანსზე რიცხული შენობის შემდეგ ფართებზე:** 1. 20 $მ^2$ — ბუფეტისათვის; 2. 15 $მ^2$ — მუსიკალური სტუდიისათვის; 3. 12 $მ^2$ — ოფისისათვის; 4. 4 $მ^2$ — ჯიხური საკანცელარიო ნივთების რეალიზაციისათვის; 5. 90 $მ^2$ და 250 $მ^2$ სპორტული დარბაზების, 6. 230 $მ^2$ სააქტო დარბაზის; 7. 600 $მ^2$ სპორტული მოედნის იჯარის ფორმით გაცემის თაობაზე. დაწვრილებითი ცნობებისათვის მოგვმართეთ მისამართზე: **ვარკეთილი 3 II მ/რ. 178-ე სკოლა. 705014. 99901837.**

## კადრი



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოძულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 879 01-04-77

ინდექსი 66434

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.